სახალხო გაზეთი

№ 907 პარასკევი, 31 მაისი 1913 წ. № 907

განცხადების ფასი: ჩვეულებრივი სტრიქონი პირველ გვერდზე პეტიტით ღირს 15 კ., უკანასკნელზე 10 კ. სხვა ადგილებიდან კავკასიის გარეშე მიდებულ განცხადებათა ფასი: სტრიქონი პეტიტი ტექსტის წინ 20 კ., უკან 10 კ. სამგლოვიარო განცხადების დახეტდვა პირველ გვერდზე თითო-ჯერ სადამოს 4 საათამდე ღირს 3 მ. 4 საათის შემდეგ მიიღება მხოლოდ თვით სტამბა „შრომა"-ში, მუხრანის ქუჩა, და ეღირება 4 მანეთი.

განცხადებანი იმ პირთა, ფირმათა და დაწესებულებათაგან, რომელიც კავკასიის გარეშე არიან, ან მოთავარი კანტორები და განყოფილებანი აქვთ, მიიღება მხოლოდ სავაჭრო სახლის ლ. და მ. მეტცლ. და ამხ.-ების განცხადებათა ცენტრალურ კანტორაში მოსკოვში, მიასნიცკის ქ., ს. სიტოვისა და მის განყოფილებებში: პეტერბურგში—მორსკაია 11, ვარშავაში—მარშალკოვსკის ქ. 130, პარიზში—ბირჟის მოედანი.

ხელის მოწერა და დასტამბული განცხადებები მიიღება „სახალხო გაზეთი"-ს რედაქციაში და კანტორაში ყოველ-დღე კვირა-უქმეების გარდა, დილის 9 საათიდან 3-მდე. სადამოთი 5-დან 7-მდე.

ხელ-მოუწერელი წერილები არ დაიბეჭდება; დაუბეჭდავი მცირე წერილები და კორესპონდენციები სულ არ ინახება; ინახება ერთის თვით მხოლოდ დიდი წერილები და მოთხრობები. პირადად მოლაპარაკება შეიძლება ყოველ-დღე, კვირა-უქმეების გარდა, დილის 10 საათიდან ნაშუადღევის 3 საათამდე. ადრესის გამოცვლა 40 კაპ.

რედაქცია და კანტორა იმყოფება: ტფილისში, სასახლის ქ., სარაჯიშვილის სახ. № 6. ფოსტის ადრესი წერილებისა და ფულისთვის: ტფილისი, ქართული „სახალხო გაზეთი", 190.

ტელეფონი № 12-29

გაზეთის ფასი წელიწადში 8 მ. 50 კ., თვეში—75 კაპ. ცალკე № ყველგან 5 კ., დამატებიანი—7 კ.

ყოველ-დღიური საპოლიტიკო და სალიტერატურო გამოცემა

სახალხო გაზეთი

ყოველკვირეული სურათებიანი დამატებით

პირველი თიბათვიდან წლის დამლევამდე, როგორც ქალაქში ისე ქალაქ გარედ ღირს **5 მ. 25 კ.**

თვეში ღირს 75 კაპ.

არ მიიღება ხელის მოწერა ცალკე უდამატებოდ და არც სურათებიანი დამატება იყიდება ცალკე.

მისამართი: Тифлисъ, „Сахалхо газети" Почт. ящ. 190.

1912 13 წ. სეზონის დამთავრება.

ძმ. ზუბალაშვილების სახალხო სახლი

პარასკევს, 31 მაისს, სახ. სახ. არს. ქართ. სახ წარ. მმართ. წრე 1912/13 წ. სეზონის დასამთავრებლად წარმოადგენს პირველ ლიან. სახ. სახ. სცენაზე პოლ. ჟეროლის 2 მოქ. დრამას:

სიცხლის ლაქა

2) დამს. მსახ. **ქ ნ ელ. ჩერქეზიშვილის** მონაწილეობით ა. ცაგარლის კომედიას:

რაც გინახავს, ველარ ნახავ 2 მოქ.

ბონაწილეობას მიიღებენ ქ-ნნი: **ც. ამ-რაჯიბი**, ს. ანკარი, მარგ. გოგოლაშვილი, გოდერძი, ა. კაბელი, ბ. ცოცრინოული, **პიერ ტტა**, ყოჩიშვილი, მ. ქართველიშვილი, ელ. ჩერქეზიშვილისა, ელ. ციმაკურიძე; ბ-ნნი: გ. ანაშვილი, არშაკუნი, დ. ბაქრაძე, ნ. გოცირიძე, ამხ. ივერიელი, ა. კაკაბაძე, ვ. მინდიაშვილი, ალ. მეტრეველი, გ. სვანელი, რ. სალაყაია, ილ. ზურაბიშვილი, ს. რომანიშვილი, ალ. შანშიევი, მ. ჯიაურელი, **ნ. ჯანკვატაძე**, კ. გ. ჯაბაური. ადგილ. ფასი 5—50 კ. ბილეთ. ასახ. დრამ ყ.-დღე დილის 12—2 ს საღ. 6—8 ს. **დასაწყ. საღ. 8-ნახ. ს.** 1160. რეჟისორი **ალ. წუწუნავა**. თანაშ. **ნ. ჯანკვატაძე**. ქართ. სახ. წ. მმართ. წ. ად.

ექ ვ. დ. ღამბაშიძის

სანატორიუმი და საზაფხულო საქეთური

პატარა-ცემი

ბ ა ი ხ ს ნ ე ბ ა 15 თიბათვეს—31 მარიამობისთვემდე.

მისამართი ფოსტით: ტფილისი, **ექ. ვ. დ. ღამბაშიძეს.**

299

ქართულ სიტყვა-კაზმულ მწერლობის

საზოგადოების

მოკრიკი კრება

შაბათს, 1 ივნისს,

თავად-აზნ. სადეპუტატო საკრებ. დარბაზში, (ბელინსკის ქუჩ. სახ. № 2),

სერგეი გორგაძე წაიკითხავს რეფერატს:

„ქართულ ენაში სტილის ძირითადი პრინციპი".

დასაწყისი საღამოს 8 ს.

ტფილისის კერძო საკურნალო

ახლად გადაკეთების შემდეგ, ავადმყოფები მიიღებიან.

ქსენიევის ქუჩა, საკუთ. სახლი, № 7, მიხეილის პროსპექტისა და ვეტცელის სასტუმროს ახლო.

ტ ე ლ ე ფ ო ნ № 590.

სტაციონალური განყოფილება მოწყობილია 50 საწოლით, ცალკე ნომრებით და საერთო ოთახები განსაკუთრებითი სამშობიარო განყოფილებ.

მწოლიარე ავადმყოფთა მიღება შეიძლება ყოველ წამს, გარეშე მოსიარულე ავადმყოფებს მიიღებენ შემდეგი **ექიმები-სპეციალისტები:**

შინაგანი სნეულებანი.	**მანსვეტაშვილი ვ. მ.** ორშაბ., ოთხშ. და პარასკ. 2—3 ს **მაღალაშვილი ზ. ზ.** სამშაბ. და შაბათობით 10—12. **მიქელაძე შ. ა.** ყოველ დღე 12—. ს. **ფედოროვი ე. გ.** ყოველ დღე, გარდა ოთხშ. და კვირისა 12—1. **ექ.-ქალ. ენგელ-მელიქ-შახნაზაროვისა ე. ა.** სამ., ხუთ., შაბ. 11—12
ქირურგ. სნეულებანი.	**მარკევიჩი ვ. ლ.** კონ ულტატი ყოველ დღე 11½—12½. **მელიქიშვილი ნ. ა.** ყოველ დღე 10—1. **ფირადოვი რ. ბ.** ყოველ დღე 12—1.
ქალთა და სამშობ. სნეულებანი	ექიმი-ქალი **ვერბიცკი-ფირადოვისა ლ.** ყოველ დღე 11—12. **თიკანაძე ი. ე.** ყოველ დღე 1—2. **მელიქიშვილი ნ. მ.** ყოველ დღე 0—. **სულაკოვი ა. ი.** ყოველ დღე —
ბავშვთა სნეულებ.	**ექ.-ქალ. ბაძრაძე დედ ბრიშვილისა** ყ.-დღე, გარდა ოთხშ. 1—1½ **მიქელაძე შ. ა.** ყ.-ელ დღე 12—1 **ფედოროვი ბ. ხ.** ყოველ დღე გარდა ოთხშაბ. და კვირისა 12—1.
ნერვიულ. სნეულებ. და ელექ.	**გედევანიშვილი. მ ა.** შაბათობით 0— **ჯავახიშვილი ნ. ნ.** ოთხშაბ., პარას. და კვირას 11—12 **ფოინდოევი ბ ს.** ყოველ დღე 1—2
ყელ. ყურის ცხვირ.	**ათანიანცი ნ. ა.** ყოველ დღე 12½ 1½. **ოლეგბოვსკი ნ. ს.** ყოველ დღე 1½—2.
თვალის სნეულ.	**მუსხელიშვილი ვ. ს.** ორშაბათ., ოთხშ. და პარასკ. 2—2½.
კან. და ვენერ. ავ.	**დიასამიძე ა. ნ.** ყოველ დღე 11½—12½.

სამკურნალოს აქვს მოწყობილი საკუთარი სამიკროქიმია და საბაქტეოიოლოგიო ლაბორატორია. სისხლის გასინჯვა, თაშანგ. Wasserman. რჩევისათვის 50 კ. საწოლები 2 მ. დაწყებული. ცალკე ოთახი 5 მანეთიდან. მშობიარობა 0 დღე წოლით ღირს 40 მ. ოპერაციები, კონსულტაციები, მარდის ბუშტისა და მილების კატეტერიზაცია, **„606" და „914" წამლის შეშხეპვნება**, ელექტრონით წამლ., მასსაჟი, ყვავილის აცრა, ძიძათა შემოწმება და სხვა. შ. ლ. ვათიანი საფასურით. წ. 1035

ბრიუსელის გამოფენაზე 1901 წ. GRAND PRIX.

ოპალიერის (обои) ქარხანა

ძმ. ტარნოპოლებისა.

განყოფილება იმყოფება გოლ. პროსპ., № 21. ტელ. № 355.

მიღებული გვაქვს ძვირფასი საჩუქრები.

იყიდება რუსეთის ყველა ქალაქებში. ფასი ყველა სრული ზომის 1½ არშ.) შეალიერისა, საფაბრიკოა 8 კ. ვიდრე 6 მ. თოფი. ნიმუშები დაეთმობათ უფასოდ, როგორც ქალაქებში, ისე ქალაქ გარედ მცხოვრებთ.

ოქროს მედალი ოდესის გამოფენაზე 1910 წ. 1137

ოქროს მედალი როსტოვის გამოფენაზე 1910 წ.

ოქროს მედალი ოდესის გამოფენაზე 1910 წ.

ა. ბ. ზუბალაშვილის სახელოვნების ქ. ლაქის სახალხო სახლი

კვირას, 2 ივნისს, გაიმართება

სალიტერატურო და სამუსიკო დილა

გ ა ნ ყ ო ფ ი ლ ე ბ ა I.

1. **ლ ე ქ ც ი ა „ქართული ლიტერატურა 80-19-ე საუკუნეში"** წაიკითხავს ქართულ დრამატიულ საზოგადოების კურსების ლექტორი ბ-ნი **მიხეილ წულუკიძე.**

გ ა ნ ყ ო ფ ი ლ ე ბ ა II.

1. გუნდი **„ბუთნის დედა"** ლექსი **ილ. ჭავჭავაძისა** მუსიკა **ნ. პ. სულხანიშვილისა,** 2. ლექსი—ბ-ნი **ალოსპირელი.** 3. ლექსი—ბ-ნი **აბაშელი.** 4. ლექსი ბ-ნი **ი. ედდოშვილი.** 5. ლექსი—თ-დ **კ. მაყაშვილი.** 6 **„მაშ გამარჯვება"**, ბაირონიდან, მუსიკა **ნ. პ. სულხანიშვილისა.**

გ ა ნ ყ ო ფ ი ლ ე ბ ა III.

1. გუნდი საყმაწვილო ოპერიდან **„ორი ძალა"** („ეს ქვეყანა ყველაფრით მდიდარია"). მუსიკა **ნ. პ. სულხანიშვილისა** 2. ახალი ესკიზი **ბ-ნ შიოარაგვისპირელისა** წაიკითხავს ქნი **ბ. პ. სულხანიშვილი.** 3. გუნდი: **„ორატორია"** ლექსი **აკაკისა** მუსიკა **ნ. პ. სულხანიშვილისა.** 4. ლექსი **ვაჟა-ფშაველა.** 5. გუნდი **„სამშობლო ხემსურისა"**,—ლექსი **რ. ერისთავისა,** მუსიკა **ნ. პ. სულხანიშვილისა.**

დასაწყისი 1-ლ საათზე ბილეთები დღეიდანვე იყიდება „სახალხო სახლის კასაში. 1233

დღეს, 31 მაისს, მუშტაიდის ბაღში

გაიმართება **დიდი სეირნობა**

დიდუბის ბიბლიოთეკის სასარგებლოდ.

ზ ე ს ვ ლ ა უ ფ ა ს ო ა. 320

ვაგზლის კერძო სამკურნალო

გარედან ყოველ დღე მოსიარულე ავადმყოფთათვის

ვაგზლის ქუჩა. № 8. ტელეფონი № 695.

ე. ს. ვაშაკიძე. ყოველ დღე, შინაგან. ავადმყ. 9½ ს. 10 ს.

ა. ნ. დიასამიძე. ყოვ. დღე. კვირ. გარდა სიფილ., კანისა და ვენერ. 11—1 1/2 ს

ბ. ა. ბოპოვი. ყოვ. დღე, კვირის გარდა. ყელ. ყურ. და ცხვ. სნეულ. 11—1½ ს.

ექ. ქალი იოსელიანი ანა—იღებს ქალთა ავადმყოფებს. სამშა ათობით, ხუთშაბათობით და კვირაობით 11—11½ ს.

ვორობიევი. შინაგ. ბავშვ. სნეულ. სამშ. ოთხშ. შაბ. და კვირ. 2—3 საათამდე.

ნ. ზ. მელიქიშვილი. ქირურგიული და ქალთა ავადმყ. 1—2 ს.

ივ. გომართელი. ყ.-დღ. შინაგ. 2—3 ს. მიკროსკოპიული, ბაქტეიოროლოგიური, ქიმიური გამოკვლევანი ბრუდვე ყვავილის აცრა და ძიძების გასინჯვა ფასი რჩევისათვის 50 კ.

ოპერაციები და კონსილიუმი მორიგებით.

წამლება „606"-ით 1053

დოკტორი ფედიციანისა

გ. ზ. მეგრაბიანცი,

კისლოვოდსკში წავიდა

ავადმყოფებს მიიღებს: კოლოსოვას სასტუმროში, („ნარზანი"-ს გალერეის პირდაპირ). 1238

ექიმი ზ. ა. ზიქელაძე. იღებს **შინაგან და ბავშვთა სნეულებიან** ავადმყოფთ ყოველ დღ. საღამოს 5 ნ.ხ.-6½ საათ. ჯაბეფოის ქ., № 6.

კ ბ ი ლ ი ს

ექიმი ა. ბ. სოლოლაშვილი ირეკს ავადმყოფებს დილის 9—2 საათ. და საღამოთი 5—7 ს.-მდე. გოლოვინის პრ. № 12. 1334

ექიმი ქუთაისში **ვ. თ. ტყეშელაშვილი.** ათ აპრილიდან ღებულობს ავადმყოფებს ახალ ბინაზე: ვიტუშინსკის სახლი, აფთიაქის უკან, პუშკინის ქუჩიდან შესახვევში. 1130

ექიმი კბილისა **ნინო ჩხეილაძე** იღებს დილით 9—2 ს. საღ. 5—7 ს. ოლგას ქუჩის შესახვევი № 5, სახლი მაჭარაშვილისა

საგურთალოზე

მშვენიერ ალაგას,

ახლად აშენებულ ეკლესიისა და დიდუბის მომავალ ხიდის მახლობლად დაიჭრა 20 დესეტინა მამული და იყიდება წვრილ ნაკრებად ხელ-მისაწვდენელ ფასებში.

მსურველთ შეუძლიანთ მიჰმართონ ოლღას ქუჩაზე, სახლი № 6, სოლომონ ივანეს ძე **თბილელიშვილს,** დილის 8 საათიდან ნაშუადღევის 3 საათამდე. საღამოს 5 საათიდან 8 საათამდე. უმორჩილესად ვთხოვთ მიწის მყიდველებს, რომ **თავის დროზე შემოიტანონ დარჩენილი ვალი,** თანახმად ჩვენგან მიცემულ კვიტანციისა. წ. 1220

ექიმი ნ. ნ. ჯავახიშვილი

ორდინატორად ნამყოფი კიევის ნერვების კლინიკაში. იღებს ნერვებით ავადმყოფებს საღ. 6—7 ს.-მდე. ჩერქეზიშვილის ქუჩა, № 12. **იქვე გამართულია ელექტრონის სამკურნალო კაბინეტი.** 191

ექიმი ი. ი. ბერიშვილი სწამლობს **საშარდე** ორგანოთა, **ათაშანგინა** და **კანის** ავადმყ.; **გასხერმანის** რეაქციით იკვლ. ათაშანგ. მოწამლ. სისხლ. მიღება ნაშუადღ. 3—5½ ს. **ედიანბედ** № 94. კირილინი ქუჩის ახლო, ს. ... პიროსპირ 102

დოკტორი მედიცინისა

გ. ა. ახვერდოვი,

პეტერბურგის სიფილისისა და ვენერიულ ავადმყოფობათა კლინიკის **ყოფილი ორდინატორი,** იღებს **ნაშარდის,** ვენერიულისა და სიფილისიან ავადმყ. დილ. 12—1 ს., საღ. 6—8 ს. **სემიონოვის ქ.,** № 18, (ვორონკოვის ძეგლის მახლობ.), ექიმ. ბინა—ხემიონ. ქ., № 16. 1159

სახალხო გაზეთი

იმ წლიურ ხელის მომწერთ, რომელთაც პირველ თიბათვემდე ხვედრი ფული (2 მ.) არა აქვთ შემოტანილი, **ხვალიდან აღარ გაეგზავნებათ.**

ახალი კანონი და ჩვენი სკოლები

სახელმწიფო საბჭომ ამ რამდენისამე ხნის წინად განიხილა ერთი ფრიად საყურადღებო კანონ-პროექტი, რომელიც როგორღაც შეუმჩნეველი დარჩა ჩვენს საზოგადოებას და რომელსაც ძალიან დიდი მნიშვნელობა აქვს. ჩვენ მოგახსენებთ კერძო სასწავლებელთა დაარსების შესახებ. ძალიან ძნელად თუ გაივლის სახელმწიფო საბჭოში ისეთი კანონ-პროექტი, რომელსაც ცოტად თუ ბევრად შესამჩნევი ცვლილება შეაქვს ცხოვრებაში: იგი ყოველთვის ფიზიზლად სდარაჯობს ისედაც ფიზიელ სათათბიროს. აი, სწორედ ამიტომ განსაკუთრებული ყურადღების ღირსია სახელმწიფო საბჭოს კანონ-პროექტი კერძო სასწავლებელთა შესახებ. უპირველესად ყოვლისა აღსანიშნავია ის გარემოება, რომ საბჭომ გაიფართოვა საკითხი და კერძო სასწავლებელთა კატეგორიაში ჩარიცხა არა მარტო ის სასწავლებლები, რომლებსაც კერძო პირნი აარსებენ, არამედ ერობათა და ქალაქების მიერ დაარსებული სასწავლებლებიც. სახელმწიფო სათათბიროს რედაქციით ეს უფლება წოდებებსაც უნდა ჰქონოდათ. სახელმწიფო საბჭოში ამის წინააღმდეგი ბევრი აღმოჩნდა, მაგრამ, ბარ. პილარ-ფონ-პილხაუს შესწორების თანახმად, საბჭომ აღიარა, რომ ასეთივე უფლება შეიძლება მიეცეს კერძო სასწავლებლის დამაარსებელ წოდებას. ამ რიგად, როდესაც ეს კანონ-პროექტი უმაღლესად დამტკიცდება და კანონად იქცევა, ქალაქებს, ერობებს და წოდებებს უფლება მიეცემათ დაარსონ კერძო სასწავლებლები, რომელთაც მთავრობის სასწავლებელთა უფლებანი არ ექნება.

მაგრამ ჩვენთვის, ქართველებისთვის, საყურადღებოა განსაკუთრებით საკითხის მესამე მხარე: რა ენაზე უნდა სწარმოებდეს სწავლა კერძო სასწავლებლებში. როგორც მოსალოდნელი იყო, საბჭოში ამასაც ბევრი მოწინააღმდეგე გამოუჩნდა. სტიშინსკიმა და დურნოვომ, მაგალითად, მოითხოვეს, რომ დაბალ სასწავლებლებში აუცილებლად რუსულად ისწავლებოდეს საგნები, საშუალო სასწავლებლებში კი მინისტრის ნებართვით შეიძლება არა რუსულად ისწავლებოდეს საგნები. ამ აზრს დაუპირისპირდა აზრი ოპოზიციისა, რომელიც იმ სასწავლებელთათვის, რომლებსაც კერძო პირნი ინახავენ თავისი საკუთარი ხარჯით, მეტს თავისუფლებას მოითხოვდა სასწავლო ენის არჩევაში. ასეთივე აზრისა იყო, სხვათა შორის, გრ. ვიტტეც. დასასრულ, საბჭომ სტიშინსკისა და დურნოვოს შესწორება უარჰყო. გარდა ამისა, საბჭომ მიიღო მუხლი, რომელიც დამაარსებელთ ანიჭებს საგნების ამორჩევის უფლებას.

დეპეშათა საგენტო ჩვეულებისამებრ ძალიან კანტიკუნტად გადმოგვცემს ცნობებს. ამიტომ ზედმიწევნით წარმოდგენა იმისა, თუ რანაირ იურიდიულ პირობებში იქნება ჩაყენებული კერძო სასწავლებლები, ახალი კანონის მიხედვით, ძნელია. მაგრამ საერთო სურათი კი მაინც შეგვიძლიან წარმოვიდგინოთ. საერთო სურათი ასეთია. არსებობს განსხვავება კერძო და სახაზინო სასწავლებელთა შორის. იქ, სადაც ხაზინა თითონ ხარჯავს ფულსა, სადაც სასწავლებლებს უფლებები აქვთ მინიჭებული, სწავლის პროგრამა და ენა სასტიკად არის განსაზღვრული. კერძო სასწავლებელთა დამაარსებელთ კი ამ მხრით მეტი თავისუფლება ეძლევათ: შეუძლიანთ სასწავლო ენაც თითონ ამორჩიონ და საგნებიც. რა თქმა უნდა, კერძო სასწავლებელნი სრულიად ვერ განთავისუფლდებიან აპეკისაგან, მაგრამ წინანდელთან შედარებით, თუ ცირკულიარებმა კანონის მნიშვნელობა არ გააქარწყლეს, ახალი კანონი მეტს თავისუფლებას ანიჭებს კერძო სასწავლებლებს.

ტიკურს პროცესში, არამედ სისხლის სამართლის საქმეშიაც, სადაც სხვა და სხვა „გავლენას" დიდი ასპარეზი დაეთმო. მოდრეკილი იქმნა არა მარტო დაბალი და საშუალო ინსტანცია, უმაღლესიც კი, რომელიც კონსტიტუციის დრომდე ცოტაოდნად მაინც კანონიერების დამცველ ბურჯად ითვლებოდა; ეხლა სენატმაც ვერ აიშორა თავიდან „სრულ უფლებით შემოსილ უწყების" გავლენა,—გაიხსენეთ თუნდ ცნობილი „საგანმარტებელი" მოლაწობა სენატისა...

მაგრამ, საკუთრად რუსეთის მართლმსაჯულების მდგომარეობას რომ შევუდაროთ ჩვენში არსებულ მართლმსაჯულების საქმე, იგი მდგომარეობა, იქაური ყოფა თითქმის სამოთხედ მოგვეჩვენება. იქ ნაფიც მსაჯულთა ინსტიტუტი მაინც არის, მართალია ფრთაშეკვეცილია, მაგრამ ხალხის სინდისის გამამხელევებელი მაინც არის; იქ ხალხისათვის გასაგებ ენაზე მაინც სწარმოებს სამართალი და წარმოდგენა არა აქვთ იმ დამახინჯებაზე, რომელსაც განიცდის სამართლის საქმე ჩვენში თარჯიმანების ინსტიტუტის მეოხებით; იქაური მოსამართლენი ხალხს მაინც იცნობენ, მის ზნე-ჩვეულებასა და ადათს, რადგან ამავ ერის შვილნი არიან; ჩვენში კი გადმოხვეწილმა მოხელემ არც არა იცის ხალხისა, არც არა ესმის მისი, არც შეუძლიან ჩაიგოს მისი სულსკვეთებასა და ბევრი სხვა ნაკლი ჩვენის სასამართლო უწყებისა, ათასჯერ აღწერილ-აღნუსხული, კარგა ხანია დიდად შემაფერხებელი გახდა ჩვენის ცხოვრებისა, ჯოჯხეთად აქცია ისედაც დუხჭირი ჩვენი აწმყო.

და თუ შიდა რუსეთში იუსტიციის სამინისტროს პოლიტიკა იქმნა ენერგიულად დაგმობილი ამ დღეებში საათბიროს ოპოზიციონურ წრეებისაგან, მით უმეტეს ჩვენი სასამართლო უწყება უნდა ვაეტანართ მწარე კრიტიკის ქარ-ცეცხლში ჩვენს დეპუტატებს. ეს მოვალეობა მართლაც უკისრია ჩვენს დეპუტატს ვ. გელოვანს და, როგორც მოკლე დეპეშიდანაც სჩანს, საკმაოდ ძლიერი იერიში მიუტანია იუსტიციის სამინისტროზე. ჩვენს მართლმსაჯულების საქმის დაქვეითებისა გამო და ბოლოს საყურადღებო შესწორება წარუდგენია სათათბიროსათვის. შესწორების დედა აზრია, განაპირა ქვეყნებში ხალხისათვის გასაგებ ენებზე და ადგილობრივ პირობათა მცოდნე მოსამართლეთაგან სწარმოებდეს მართლმსაჯულების საქმეო. შესწორება სათათბიროს შეიწყნარა და ამრიგად ჩვენს დეპუტატს მხარი დაუჭირა, ესე იგი, მთავრობას დაავალა—ღონე იღონოს ხსენებულ საქმეს გამოსასწორებლად; სხვათა შორის, მთავრობას დაევალა იზრუნოს შესაფერ კანონპროექტის შემუშავების შესახებ..

ჩვენ ვიცით, რომ ბევრი ასეთი სურვილი გამოუთქვამს სახ. სათათბიროს, მაგრამ, ამსრულებელ-გამგონი არა ჰყავს. უეჭველია, ახლაც ასეთი ბედი ეწვევა გელოვანის საინტერესო შესწორება-ფორმულას, მაგრამ იმასაც მნიშვნელობა აქვს, რომ, როგორც იქმნა, ჩვენი გაპირვება-ვარამიც გაიტანეს პარლამენტის ტრიბუნაზე...

რა სარგებლობა შეუძლიან მოუტანოს ქართველებს ამ კანონ-პროექტმა? ეს სავსებით თვით ქართველთა უნარზე იქნება დამოკიდებული. ჩვენში არსებობს წერა-კითხვის გამავრცელებელი საზოგადოება, გვაქვს კერძო პროგიმნაზიები და გიმნაზიები. თანახმად ახალი კანონ-პროექტისა, ყველა ამ სასწავლებლებში შეგვიძლიან სწავლა ვაწარმოვოთ ქართულად და საგნებიც ჩვენის მიხედვით ავირჩიოთ. ჩვენი ძოქმედებისთვის ასპარეზი ცოტათი ფართოვდება, მაგრამ მოვახერხებთ თუ არა ამ გაფართოვებულ ასპარეზის გამოყენებას,—ეს კი არ ვიცით. მოგეხსენებათ, ჩვენში გასაოცარის დაინახავთ ვრცელდება ისეთი ტიპის სასწავლებლები, რომელნიც ყველაზე ხაკლებად შეეფერებიან ჩვენს დღევანდელ ძოთხოვნილებას. პროგიმნაზია წინასწარი მოსამზადებელი სასწავლებელია გიმნაზიისთვის, გიმნაზია ძოსწავლეთ უნივერსიტეტისთვის ამზადებს. ამ სამი ტიპის სასწავლებელთა შორის ისეთი შინაგანი კავშირი არსებობს, რომ დამოუკიდებელი არსებობა თვითოეული ძათგანისა ყოვლად შეუძლებელი იქნება. თუ არა გაქვს უნივერსიტეტი, სადაც საგნებს სამშობლო ენაზე სწავლობენ, მაშინ გიმნაზიაშიც ისეთი ხესები უნდა შემოიღო, რომ იქ კურს დასრულებულს არ გაუჭირდეს უნივერსიტეტში შესვლა. ესევე უნდა ითქვას პროგიმნაზიებზე. იბძება ქსელი პროგიმნაზიას და უნივერსიტეტს შორის. საზოგადოების ფსიხიკაც, პროგიმნაზიების დაარსების დროს, სწორედ ასე მუშაობს. პროგიმნაზიების დაძაარსებელთა აზოოვნებაში ეს სასწავლებელი პირველი საფეხურია იმ კიბისა, რომელძაც უნივერსიტეტამდე უნდა მიიყვანოს.

ძხოლოდ ამით უნდა აიხსნას ის ფრიად სამწუხარო მოვლენა, რომ ჩვენი სასწავლებლები და განსაკუთრებით კი მშობლები მაგრა ებღაუქებიან სახაზინო გიმნაზიების უფლებებს. ასეთს პირობებში უარყოფა სახაზინო გიმნაზიების უფლებებისა და ქართულად შემოღება სწავლისა ჩვენს პროგიმნაზიებსა და გიმნაზიებში უპირველესად ყოვლისა თვით მშობლების მხრით გამოიწვევს პროტესტა და უკმაყოფილებას. იქნება სამძიმო იყოს ამის აღიარება, მაგრამ ჭირის დამალვით არაფერი გაკეთდება.

სულ სხვანაირად მოეწყობოდა საქმე, თუ ჩვენში საკმაოდ იქნებოდა ისეთი სასწავლებლები, რომელიც თავისთავადაც დამთავრებულ, ჩვენი ცხოვრების პირობებთან შეთანხმებულ ცოდნას აწვდიან მოსწავლეთ. მაშინ ეს დაბრკოლება თავის-თავად მოისპობოდა და ახალ პირობებს მთელი თავისი სისრულით გამოვიყენებდით. მიუხედავად ასეთი მდგომარეობისა, ჩვენში მაინც არის ისეთი სასწავლებლები, სადაც შესაძლებელიცაა და აუცილებელი გაჰხდება რეორგანიზაცია სწავლისა ახალი პირობების მიხედვით.

გარდა ამისა, შემდეგშიაც მთელი ჩვენი ყურადღება იქითკენ უნდა იყოს მიქცეული, რომ შევქმნათ ისეთი სასწავლებლები, რომლებიც უფრო მეტად შეეფერებიან ჩვენს ცხოვრებას. მაშინ განხორციელება როგორც ზემოხსენებული კანონ-პროექტისა, ისე სხვა მოსალოდნელისა, უფრო ადვილი გაჰხდება.

სახელმწიფო სათათბირო

(დეპეშათა პეტერ. სააგენტო)

29 მაისის სხდომა

რომძიანკო თავმჯდომარეობს.

იუსტიციის სამინისტროს ხარჯთაღრიცხვის რამდენიმე მუხლი მიიღეს უკამათოდ. იხილავენ მუხლს „საოლქო სასამართლოთა და საქალაქო მოსამართლეთა შესახებ“.

თავ. მანსირევი აღნიშნავს საქალაქო მოსამართლეთა ჯამაგირის სიმცირეს. არც სასამართლოს კანცელარიის მოხელენი არიან ნივთიერად უზრუნველყოფილნი; სასამართლოს თავმჯდომარენი თავის ნებით ანაღდებდნენ საკანცელარიო ფულს.

მომხსენებელი **ანტონოვი** აღნიშნავს, რომ საკანცელარიო ხარჯი გადიდდა და მანსირევის მიერ აღნიშნული მოთხოვნილებანი შეიძლება დაკმაყოფილდეს. ადგილობრივ სასამართლოს შემოღების შემდეგ, საქალაქო მოსამართლეთა თანამდებობა უნდა გაუქმდეს; ამის გამო მათი ჯამაგირის მომატება უსაფუძვლო იქნება.

განსახილველია მუხლი: „სასამართლოს დადგენილებათა საერთო ხარჯი“.

გელოვანი ამტკიცებს, რომ აუცილებლივ საჭიროა სასამართლოს უწყების მოხელეებმა განაპირა ქვეყნებში იცოდნენ ადგილობრივი ენებიო, გელოვანი უაზროდ სთვლის ფულის გაღებას კავკასიის ენათა შესასწავლელ კურსების დასაარსებლად. მოლაპარაკეს ფორმულა შეაქვს რის შინაარსიც შემდეგია: ადგილობრივ ენათა მცოდნეს უფლება ენიჭება მცხოვრებთ მათთვის გასაგებ ენით ელაპარაკოს თარჯამანთა დაუხმარებლივ; სასამართლოებს და მაღალ მოხელეთა უნდა განემარტოს, რომ მოხელეთა მიღების დროს მხედველობაში მიიღონ ადგილობრივ ენათა ცოდნა; სამინისტრომ უნდა წარუდგინოს სათათბიროს მოსაზრება, რათა განაპირა ქვეყნებში მოსამართლეთა შემადგენლობა ადგილობრივ ენათა მცოდნეთაგან იყოს. ხარჯთაღრიცხვა კენჭის ყრით მიიღეს. მიიღეს **გელოვანის** ფორმულა.

განსახილველია საპატიმროთა ხარჯთაღრიცხვა რომელიც უწყებამ ივარაუდა 37.242.704 მან. კომისიამ 867.130 მანეთით შეამცირა.

მომხსენებელი ზამისლოვსკი. საპატიმროთა ხარჯთაღრიცხვა შევამცირეთ 21 თებერვლის მანიფესტის გამო, რის შემდეგაც საპატიმროთა ხარჯმა გაცილებით იკლო. უწყება შემცირების წინააღმდეგი არ არის. საერთო ჯამი წლითი-წლითობით იზრდება, რადგანაც 1905 წლიდან იზრდება პატიმართა რიცხვი. სატუსაღოები საკმარისი არ იყო, ამან გამოიწვია სატუსაღოთა გაესება ტუსაღებით. მომხსენებელმა აღნიშნა, რომ საერთოთ მოწესრიგების საქმე ამ ბოლო დროს კარგად მიდისო.

კერენსკი. კატორღა და სატუსაღოები მოუწესრიგებელ მდგომარეობაში იმყოფებიან. ამისთვის სოციდემ. და შრომის ჯგუფი ხარჯთ-აღრიცხვის წინააღმდეგ მიაკემენ ხმას.

ხაუსტოვი. სატუსაღოს რეჟიმი თავად-აზნაურთა რეაქციის დამცველიარაღად გადააქციეს.

ილაპარაკეს **მანსირევმა** და **მანკოვმა.**

ზამისლოვსკიმ ილაპარაკა დასასრულს და ხარჯთ-აღრიცხვის მიღება მოითხოვა.

მილიუკოვმა კადეტების სახელით განაცხადა, რომ ისინი ხარჯთ-აღრიცხვის წინააღმდეგ მისცემენ ხმასო.

ხარჯთ-აღრიცხვა კომისიის ვარაუდით მიიღეს.

განსახილველია სახალხო განათლების სამინისტროს ხარჯთ-აღრიცხვა. უწყება მოითხოვდა 136.734.476 მანეთს, კომისიამ ამ ხარჯთ-აღრიცხვას 1.739 მანეთი მიუმატა.

მინისტრთა ლოჟაში ზის სახალხო განათლების მინისტრი.

მომხსენებელი კოვალევსკი. 1913 წლისთვის ხარჯთაღრიცხვა 25 მილიონ მანეთით უფრო მეტია, ვიდრე გასულ წლისა.

შემოკლება არავითარი არ შეიძლება. ფრიად ჩამოვრჩით სწავლა-განათლების საქმეში, ყოველგვარი დახმარა და ყაირათიანობა უნდა გადაიდოს. კომისიის მოხსენებაში არ არის ბევრი სურვილი გამოთქმული, რადგანაც კომისია დმრწმუნდა, რომ სამინისტრო უძლურია ეს სურვილები დაკმაყოფილოს. სამინისტრო ნაკლების გაფრთხილებით და უზრუნველად ეკიდება სამეცნიერო ძალებს და აფრთხობს თვისი მოქმედებით. სამინისტრო თვის მოქმედებაში ვერ არის დამოუკიდებელი. მოსწავლეთა მიმართ იგი იჩენს უგულობას და გულცივობას. სამინისტროს ანორმალური მდგომარეობის მიზეზი, მომხსენებელის აზრით, ის არის, რომ მან დაჰკარგა თვისი მიზანი და მტკიცე შეგნება მოვალეობისა, ამის გამო მას ვერ უპოვნია სწორი გზა. სამინისტრო სხვის გავლენის ქვეშ იმყოფება. სამინისტროს გზა კი ერთად ერთია—ნაკლები ხარჯით რაც შეიძლება მეტი ახალგაზრდა გაჰწვრთნან, შეგნებულ მოქალაქედ გაჰხადოს. ამის მისაღწევად საჭიროა სამინისტრომ აღიაროს საპედაგოგო ვრინციპი და სხვა ყოველივე უკუაგდოს; უნდა ჰქონდეს ერთი საზომი—ზნეობრივი—და სხვა ყოველივე დაივიწყოს. თანამედროვე სახელმწიფოების სამინისტროს მდგომარეობა მიგვაჩნია ერთ უზარმაზარ დროებითი გაუგებრობად, რომლიდანაც თავის დასაღწევად ჩვენ ვეძებთ გასავალ გზას და არასოდეს არ შეჩერდებით (ტაში ცენტრსა და მარცხნივ).

პურიშკევიჩი. სახალხო განათლების მინისტრის მოქმედება მაღალ და საშუალო სასწავლებელთა განსაღებაში ფრიად ნაყოფიერია. ყოველივე შეგნებული ადამიანი მინისტრს დახმარებას უნდა უწევდეს. დეეამინისტრმა ისეთივე სიმტკიცით და თანდათანობით იმოქმედოს ამ დარგში, როგორც წინად უმოქმედნია, რათა დაიხსნას ჩვენი უმაღლესი და საშუალო სასწავლებელი პოლიტიკანობის, კოსმოპოლიტიზმის და მეცნიერების მივიწყების იარეზისგან, მოლაპარაკის აზრით საუბედუროდ დაბალ სასწავლებელთა დარგში მინისტრის მოქმედება, შეიძლება მის სურვილის წინააღმდეგაც, სასურველ სიმაღლეზე ვერა სდგას. დაბალ სასწავლებელში რევოლიუციონური ელემენტები მეიკრა. მინისტრმა ამას წინააღმდეგობა უნდა გაუწიოს და ეცადოს ახსნას დაბალი სასწავლებელი გამხრწნელ გავლენისაგან. მოლაპარაკე ეხება სახელმძღვანელოებს და დასძენს, რომ დაბალ სასწავლებლებს მავნე წიგნებს აწვდიანო.

პურიშკევიჩი თავის სიტყვას პარასკევს დაათავებს.

შემდეგი სხდომა 29-ს ხალამოთი.

სახელმწიფო საბჭო

(დეპეშათა პეტერ. სააგენტო)

29 მაისის სხდომა.

გოლუბევი თავმჯდომარეობს.

საბჭომ მიიღო სამი კანონ-პროექტი. შემდეგ განიხილა და მიიღო კანონ პროექტი, რომელიც ეხება ფინლანდიაში არსებულ რუსულ სკოლათა შესანახად ფულის გადადებას. შვარცმა არ მოიწონა კანონ-პროექტის ნაწილი, სადაც ლაპარაკია ფინლანდიაში სასკოლო შენობათა ასაგებად ფულის გაცემის თაობაზე. კანონ-პროექტი გადავცეთ კომისიას, უფრო დაწვრილებით განსახილველადაო. საბჭომ უარჰყო შვარცის წინადადება, რომლის წინააღმდეგ გაილაშქრა სახალხო განათლების მინისტრის თანაშემწე ტაუბემაც.

შემდეგ საბჭო განაგრძობს თევზაობის საზოგადო წესდების პროექტის განხილვას.

უნტერბერგერი აღნიშნავს, კომისიამ ძხოლოდ მაშინ აღიარა საჭიროება თევზაობის საქმისთვის შორეულ აღმოსავლეთში განსაკუთრებულ საბჭოების დაარსებისა, როდესაც გაიგო, რომ ამ საბჭოებს ძხოლოდ სათათბირო მნიშვნელობა ექნებაო. მოლაპარაკე ძოითხოვს მცხოვრებლებსაც მიეცეთ ნება საბჭოებში წარმომადგენელნი იყოლიონ.

საბჭო გადადის კანონ-პროექტის მუხლობრივ განხილვაზე.

ჰორვატი ამტკიცებს, ის ზომები რომელიც კანონ-პროექტშია ჩამოთვლილი, როგორც თევზის შემცირების საწინააღმდეგო, მიზანს ვერ აღწევს, ზოგიერთ დარგს თევზის მრეწველობისას კი ძლიერ ავნებსო. ამიტომ საჭიროა ისეთი შესწორების შეტანა, რომელიც ამ კანონის ვალდებულებას ააცილებს ზოგიერთ დარგს თევზაობისასაო.

ჰორვატის შესწორება ერთხმად მიიღო საბჭომ. სხდომის შეწყვეტამდე საბჭომ კანონ-პროექტის თვრამეტი მუხლი მიიღო.

სხდომის განახლებისას, რამდენიმე უმნიშვნელო შესწორების შემდეგ, საბჭომ ძოლად მიიღო ყველა მუხლი, თვით კანონ-პროექტის კენჭის ყრა კი გადასდო ხუთი ივნისის სხდომისათვის.

ახალი ამბავი

ტფილისი

✦ **გასამართლება ექიმ შატილოვისა და სხვათა.** ბათომიდან დეპეშით იტყობინებიან, რომ იქ გაურჩევიათ პოლიტიკური საქმე ექიმის ალ. შატილოვისა და სხვათა, რომელნიც სამართალში იყვნენ მიცემულნი 102 მუხლის ძალით. ბრალდებულნი დამნაშავეებად უცვნიათ და ციმბირში გადასახლება მიუსჯიათ მათთვის.

✦ **შემოსავალი სეირნობისა.** რომელიც 26 მაისს გაიმართა ახალ კლუბის ბაღში ქ. შ. წ.-კითხვის გამ. საზ. სასარგებლოდ, იყო 1,503 მან. 78 კ. ხარჯი იყო 330 მან. წმინდა მოგება დარჩა 1,173 მან. 78 კ.

✦ **პოლიტეხნიკუმი.** ბაქოს ნავთის მრეწველთა საბჭომ საპოლიტეხნიკუმო ადგილის ამრჩევ კომისიაში თავის წარმომადგენლად აირჩია ინჟენერი ლ. ი. გულიევი.

✦ **პროფესორი ნ. მარრი** 29 მაისს პეტერბურგიდან ტფილისს ჩამოვიდა. გუშინ დილით ბ-ნი მარრი ანს გაემგზავრა სარქეოლოგიურ სამუშაოს გასაგრძელებლად, რომელიც წინა წლებში დაიწყო.

✦ **ავტომობილი ხონსა და ქუთაისს შუა.** კავკასიის უმაღლესს ადმინისტრაციას ნება დაურთავს უ. საარეკისათვის ავტომობილთა მიმოსვლა მოაწყოს ხონსა და ქუთაისს შუა.

✦ **მამა-დავითობა** გუშინ მამადავითის ტაძარმა დიდებულად გადაიხადა წმ. დავით გარეჯელის დღესასწაული. ღღესასწაულის წინა დღეს, როცა ჯერ კიდევ ლოცვა არ იყო დაწყებული, მამადავითის მთას იმდენი ხალხი მიაწყდა, რომ როგორც ტაძარი, ისე გალავანი სულ გაივსო. ძლოცველი იყო ადგილობრივ ტაძრის წინამძღვარი დეკ ნოზი ნ. მაჭარაშვილი. ლოცვის შემდეგ დიდხანს ხალხი არ დაშლილა. იყვნენ ღამის მთეველნიც. გუშინ, დღესასწაულის დღეს, ხალხი უფრო მეტი იყო. მწირველი იყო ყოვლად სამღვდელო ანტონი, ეპისკოპოსი გორისა სამღვდელოების თანამწირველობით.

✦ **ქართულ გიმნაზიის მოსწავლეთა ექსკურსია მოსკოვში.** 1 ივნისს ქართულ სათავად-აზნაურო გიმნაზიის მეექვსე კლასის მოსწავლენი, რიცხვით 25 კაცამდე მასწავლებლის შ. ქარუმისის ხელმძღვანელობით ტფილისიდან მოსკოვს მიემგზავრებიან. მარშრუტი: ბაქო, ტიხორეცკი, ცარიცინი, ვოლგა-გემით, ნიჟნი-ნოვგოროდი და მოსკოვი. მოსკოვიდან მოსწავლენი ხარკოვით კავკაზს მოვლენ, საიდანაც ტფილისს ფეხით ჩამოვლენ. გზის ხარჯი თითო კაცზე, 30 მანეთია.

✦ **დამპალ ციებასთან ბრძოლა.** მიმდინარე წლის იანვარს კავკასიაში გადმოსახლების სამართველოსთან ექიმ დ. დ. ეროფეევის თაოსნობით საბაქტეოროლოგიო ლაბორატორია დაარსდა. ლაბორატორია ახლა გადაეკეთეს დამპალ ციებასთან მებრძოლ სადგურად, რომლის მოქმედების უმთავრესი რაიონიც არის მუღანი, სადაც დამპალი ციება მძვინვარებს. სადგური საუცხოოდ არის მოწყობილი და ჰფიქრობს, მოკლე ხანში თავის მოქმედება კავკასიის სხვა ადგილებში გადაიტანოს. სადგური წელს მონაწილეობას მიიღებს გამოფენაში, რომელიც გაიმართება ბუნების მეტყველთა და ექიმთა მეცამეტე კრებასთან. ამ აზრით ექსპონატები უკვე დაამზადა, სხვათა შორის: დამპალ ციებ ს გამავრცელებელი უშველებელი ხელოვნური კოლო და მუღანის ველის რუკა.

✦ **მეხილეობა.** უკანასკნელ ხანს ამიერ-კავკასიაში მეტად მოიკიდა ფეხი მეხილეობამ. მეურნეობის ამ დარგისთვის მზრუნველი დღემდე თითქმის მხოლოდ ერთი საზოგადოებაა—რუსეთის მეხილეობის საზოგადოების ამიერ-კავკასიის განყოფილება, რომელიც აგერ ორი წელიწადია სხვა და სხვა ადგილას ჰგზავნის თავის სპეციალისტ ინსტრუქტორს და მცხოვრებთ შესაფერ რჩევა-დარიგებას აძლევს. განყოფილების საბჭომ ამ ჟამად აღიარა, რომ იგი მეხილეობის საჭიროებათ რიგიანად ვერ უძღვება ღღევანდელის თვის ძალ-ღონით და დაადგინა: აღძრას შუამდგომლობა მიწათ-მოქმედების დეპარტამენტის წინაშე, რათა საკმარისი ფული გადასდოს მეურნეობის ამ სასარგებლო დარგის ფართო ნიადაგზე დასაყენებლად ამიერ-კავკასიაში. პირველ ხანად საბჭო ფრიად აუცილებლად სთვლის კიდევ ერთის სპეციალისტ-ინსტრუქტორის მოწვევას. ინსტრუქტორი უნდა იყოს ან განყოფილების განკარგულებაში, ან ძიწათ-ძოქმედებისა და ძიწათ-მოწყობის სამინისტროს კავკასიის რწმუნებულთან.

✦ **ბალახის თესვა.** კავკასიის საოფლო სამეურნეო საზოგადოებას სხვა და სხვა ადგილიდან ატყობინებენ: უკანასკნელ ხანში საბალახოები მეტად გაფუჭდა; მიზეზი ჯერ ის არის, რომ მიწის ნიადაგი წესიერ მოუვლელობის გამო მწირი გახდა, შემდეგ ის, რომ მცხოვრებნი ბალახის თესვას არ ბისდევენ, რადგანაც ხელმძღვანელები არა ჰყავთ; ბალახის სიმცირესა და გაფუჭებას მოჰყვა მესაქონლეობის დაცემა, განსაკუთრებით რიგიანად მაწველ ძროხების დიდი სიმცირე. სამეურნეო საზოგადოება თავის ერთ-ერთს უახლოეს კრებაზე დონის-ძიებათ შეიმუშავებს საბალახეობის აღსადგენად.

✦ **სომეხთა საზოგადოების დეპეშა.** „ტფ. ლისტოკ“-ში დაბეჭდილია: გუშინწინ გაზეთ „ბირჟ. ვედომ.“ რედაქციას ტფილისიდან შემდეგი დეპეშა გაეგზავნა: „გუშინ არტისტ. საზოგადოების თეატრში, მრავალ საზოგადოებისა და სომეხთა სხვა და სხვა დაწესებულებათა წარმომადგენლების თანადასწრებით, აგრეთვე ნამესტნიკის თანაშემწის გენ. შატილოვისა, აფიცრებისა და მოხელეთა დასწრებით, „ბირჟ. ვედომ“. კორესპონდენტმა ოლგენინმა წაიკითხა რეფერატი თავის მოგზაურობის შესახებ ოსმალეთის სომხითში. კორესპონდენტმა აღწერა სომეხთა უმწეო მდგომარეობა ოსმალეთში, მათი უკიდურესი ყოფა და დაამტკიცა, რომ შესაძლებელია სომხები სულ მოისპონ მცირე ანიაში; გადმოგვცა, რომ სომხები იქ მარტო რუსების იმედით არიან, რომ სომხებს სწამთ დიდი და საპატიო მისსია რუსეთისი მცირე ანიაში და რომ გერმანია და ინგლისი რუსების წინააღმდეგ აგიტაციას ეწევიან ოსმალეთშიო. ტფილისის სომეხთა საზოგადოება მადლობას უგზავნის რედაქცი ს“. დეპეშას ხელს აწერენ: ქალაქის თავი ხატისოვი, „მშაკის“ რედაქტორი ქალანთარი და „აროროის“ რედაქტორი არაქელიანი.

✦ **სახალხო სასწავლებელთა ინსპექტორები.** „კავკაზ“-ის სიტყვით, სამასწავლებლო ოლქის მზრუნველს შუამდგომლობა აღუძრავს საერო განათლების სამინისტროს წინაშე, რომ კავკასიაში დაწესდეს 11 ახალი თანამდებობა სახალხო სასწავლებელთა ინსპექტორებისა.

✦ **ფრენა.** მფრინავმა ბ. ს. ქებურიამ შეაკეთა თავისი მონოპლანი და კვირას, 2 ივნისს, ნაშუადღევის 5 საათზე, დიდუბის საჯირითო მოედანზე გაფრინდება.

✦ **პანაშვიდი.** დღეს ერთი წელიწადი შესრულდა, რაც გარდაიცვალა ცნობილი მემუსიკე და საზოგადო მოღვაწე ა. ო. მიზანდარი. ამის გამო კათოლიკეთა მიძინების ეკლესიაში რუსეთის სამუსიკო საზოგადოების ტფილისის განყოფილების თაოსნობით პანაშვიდს გადაიხდიან განსვენებულის სულის მოსახსენებლად.

✦ ტფ. გუბერნატორმა ნება დართო, **ქალაქის გამგეობის წევრის მოვალეობა** შეასრულოს ქალაქის მდივანმა მ. ა. ჯაბარმა იმ დრომდე, სანამ დასასვენებლად წასულნი თავადნი ალიღუთინსკი-დოლგორუკოვები ტფილისს არ დაბრუნდებიან.

✦ **დარჩენილი გადასახადები.** ქალაქის გამგეობას მრავალმა სთხოვა, დარჩენილი დასაფასებელი გადასახადი აპატიოს იმ 30,000 მანეთიდან, რომელიც ქალაქის საბჭომ გადასდო რომანოვთა გვარეულობის სამასის წლის მეფობის აღსანიშნავად. გამგეობამ სავაჭრო-სამეურნეო მეთვალყურეთა საშუალებით უკვე გამოარკვია მთხოვნელთა ნივთიერი მდგომარეობა. თხოვნებს ხვალ, 1 ივნისს, განიხილავს ქალაქის საბჭოს საბიუჯეტო-საფინანსო, სარევიზიო და გადასახადთა გამწერ კომისიების შეერთებული კრება.

✦ **ტურისტთა კლუბის ბედი.** ტფილისში ხმა გავრცელდა, ტურისტთა კლუბში ბანქოს თამაშობას მეტის გატაცებით მისდევენ და მოთამაშეთ კლუბის სასარგებლოდ %%-ს ახდევინებენო. ამის გამო პოლიციმეისტრის დავალებით 23 მაისს კლუბში მივიდა ბოქაული ლევაშოვი და კლუბის მამასახლისთ გენერალ თ-დს ორბელიანს, კამერ-იუნკერს ყარანგოზიშვილს და დეისტვ. სტ. სოვეტ. ქიშმიშევს ხელ-წერილი ჩამოართვა, რომ ბანქოს თამაშობას მოსპობდნენ კლუბში. 28 მაისს, ნაშუადამევის 3 საათზე, ბოქაული ლევაშოვი კიდევ მივიდა და თამაშობა აღმოაჩინა. მამასახლისებს, ხელ-წერილი კიდევ ჩამოართვა. ამავე ღამეს, როცა გათენებამ მოატანა, ბოქაული ლევაშოვი კვლავ მივიდა კლუბში და აღმოჩნდა რომ თამაშობა ძველებურად გრძელდებოდა. 29 მაისს დილით, გუბერნატორმა მოისმინა ყველა ეს და დაუყოვნებლივ ბრძანება გასცა კლუბის დაკეტვისა. 29 მაისს, საღამოთი, საზოგადოებათა და კრებათა საგუბერნიო საკრებულოს საგანგებო კრება მოხდა ამავე საგნის შესახებ. საკრებულომ გამოარკვია, რომ ტურისტთა კლუბის ნამდვილი პატრონია ფრანგ კაპიტალისტთა ერთი ჯგუფი და არა კლუბის ახლანდელ მამასახლისთა საბჭო. ამის გამო საკრებულომ თავის მხრივ დაადგინა, ტურისტთა საზოგადოება სამუდამოდ დაკეტოს.

✦ **ქალაქის გამგეობაში** 1 ივნისიდან მუშაობა დაიწყება დილის 9 საათზე და ნაშუადღევის 2 საათზე გათავდება. მთელი ზაფხულის განმავლობაში მოსამსახურეთ ნება ეძლევათ, კვირაში ერთს დღეს დაისვენონ, ან ორშაბათს, ან შაბათს.

საზოგადოებანი და კრებები

✦ **ქართულ დრამატიულ საზოგადოებაში.** დრამატიულ დასის რეჟისორი ვ. შალიკაშვილი და მსახიობი ი. ზარდალიშვილი, რომელნიც დრამატიულ საზოგადოების გამგეობის დავალებით მოსკოვს იყვნენ წასულნი, ტფილისს დაბრუნდნენ.

დრამატიულ საზოგადოების ახალი გამგეობა ახლავე შეუდგა დასის შედგენისათვის ზრუნვას. ამ ამავე სეზონში მოწვეულ იქნება ორი რეჟისორი ვ. შალიკაშვილი და მ. ქორელი. დასში მოწვეულია აგრეთვე მსახიობი ქალი ნ. ჩხეიძე. სხვა მსახიობებთანაც აქვს გამგეობას მოლაპარაკება.

გამგეობა შეუდგა რეპერტუარის შედგენასაც. გადაწყვეტილია, განსაკუთრებული ყურადღება მიაქციონ საბავშო და უფასო წარმოდგენების გამართვას. პიესების სია უკვე შედგენილია, მხოლოდ საბოლოოდ დამტკიცებული არ არის. რეპერტუარისათვის ახალ პიესებს დაპირებულნი არიან: ი. გედეკანიშვილი, ნ. შიუკაშვილი და შ. დადიანი.

✦ **ქალაქის საბჭოს სასკოლო კომისიის** კრება ღღეისთვის არის დანიშნული კომისიის ინსტრუქციისა და საქალაქო სკოლებისთვის მიწების შეძენის საკითხის განსახილველად.

სასწავლებლებში

✦ **სამხატვრო სახელოსნო საქალებო სკოლა.** „განათლების“ საზოგადოებამ უკვე დაამზადა სამხატვრო-სახელოსნო საქალებო სკოლის პროექტი. პროექტს განიხილავს საზოგადოების საგანგებო კრება, რომელიც დანიშნულია 2 ივნისისათვის, შუადღის 12 საათზე, საზოგადოების ახლანდელ სკოლის შენობაში (სვიატოპოლკ-მირსკის ქ., 6). სამხატვრო-სახელოსნო სკოლის გახსნა 1 სექტემბრისთვის არის განზრახული.

✦ **დედათა ინსტიტუტის** უკანასკნელ კლასის მოსწავლეთ ეგზამენები ღღეს უთავდებათ.

სოფლთა ცხოვრება

✦ ამ სამი დღის წინად არტისტიულ საზოგადოების თეატრში ლექცია წაიკითხა „ბირჟ. ვედ.“ თანამშრომელმა ოლგენინმა ოსმალეთის სომხების შესახებ. ლექტორმა დაუხატა დამსწრე საზოგადოებას სურათი ოსმალეთის სომხეთისა, რომელიც მრავალს განსაცდელს და შეიწროვებას განიცდის ცალკე მთავრობისაგან და ცალკე მეზობელ ქურთებისაგან. ლექტორის სიტყვით, სომხები მეტად ღარიბად სცხოვრობენ, მათი ქონება თან და თან ოსმალოების ხელში გადადის და კონსტიტუციის დაწესებამ ოსმალეთში კიდევ უფრო გააუარესა მათი მდგომარეობა. სომხები პირდაპირ გარბიან სომხეთიდან და ღღეს მათი რიცხვი სამშობლოში იქნება არა უმეტეს 600 ან 800 აოასისა. თ ვის სიცოცხლის და ქონების დასაცავად სომხები ხშირად სარწმუნოებასაც კი იცვლიან. ოლგენინი მოუწოდებს რუსეთის სომხებს და რუსის მთავრობას დაიცვან სომხეთი.

ქუთაისი.

✦ 26 მაისს აკურთხეს განსვენებულის სამსონ თოფურიას ძეგლი, რომელიც მთავარ ანგელოზის ეკლესიის გალავანშია აგებული.

✦ საადგილ-მამულო ბანკის გამგეობის მოწოდებით 26 მაისს ბანკის სადგომში შეიკრიბა ბანკის რწმუნებულთა ერთი ჯგუფი, რომელსაც გამგეობა განმარტებას აძლევდა წარსული წლის ანგარიშისა და თავის მოქმედების შესახებ. ასეთი წინასწარი კრებების გამართვას კვლავაც აპირებს თურმე გამგეობა.

✦ 28 მაისს თავად-აზნაურთა კრებაზე მარშლებად აირჩიეს: შორაპნისა ვ. ა. წერეთელი 23 ხმით 1 წინააღ. ქუთაისისა—დ. ო. ნიკარაძე 42 ხმით 18 წინააღ. რაჭისა—დ. ჯაფარიძე ერთხმად. ლეჩხუმისა—ი. გელოვანი ერთხმად. ოზურგეთისა—კ. ერისთავი ერთხმად. ზუგდიდისა—მ. კ. დადიანი ერთხმად. სენაკისა—ნ. (კოკი) ნ. დადიანი ერთხმად.

✦ **მსახიობთა მოგზაურობა დასავლეთ საქართველოში.** პირველ ივნისიდან დაიწყებს მოგზაურობას ქუთ. ქართ. მსახიობთა ამხანაგობა. გამართავს თითო ან ორ წარმოდგენას შემდეგ ადგილას: ხონში, სამტრედიაში, აბაშაში, სენაკში, ზუგდიდში, ფოთში, ოჩემჩირეში, სოხუმში, გუდაუთაში, ბათომში, ჩოხატაურში, ლანჩხუთში, ზესტაფონში და ჭიათურაში. დასი: ნინო ჩხეიძე, მარო მდივანი, ან. ჩირგაძე, ბ. არაბიძე, მურუსიძე, მგალობლიშვილი, ქორელი, შარაშიძე, სანდალიძე, ურუშაძე და სხ. ყველგან გაიმართება: სალიტერატურო-დრამატიული საღამო, იუმორისტული განყოფილებით, რომელსაც მოაწყობენ რეჟისორი ქორელი და თაგუნა. მეორე წარმოდგენა „მედია“. დასს აქვს საკუთარი დეკორაციები და ტანისამოსი.

ჭიათურა.

✦ აპრილის განმავლობაში ჭიათურიდან გაზიდულია 5.846,308 ფუ

თი შავი ქვა. ამათში ფოთის ნავთსადგურიდან 3.827.260 ფუთი ბათუმიდან კი 2.019.048 ფუთი.

◆ შავი ქვის მრეწველთა საბჭოს ხარჯით უკვე გაიხსნა ქიათურაში სახალხო ბიბლიოთეკა-სამკითხველო. ბიბლიოთეკა-სამკითხველო მოთავსებულია რკინის გზის სადგურის მახლობლად დარისპან გაჩეჩილაძის სახლში.

ქართულ სასოფლო-სამეურნეო საზოგადოებაში

ოთხშაბათს, 29 მაისს მოხდა საბჭოს კრება თავ. დ. ე. ჩოლაყაშვილის თავმჯდომარეობით და საბჭოს ათის წევრის მონაწილეობით. პირველად საბჭომ მოისმინა სათავად-აზნაურო საადგილ-მამულო კომისიის შეკითხვა: მისცეს თუ არა სესხი კომისიამ ახმეტის ამხანაგობას. ეს ამხანაგობა ახლახან დაარსდა და მიზნად დაინახა სასოფლო-სამეურნეო იარაღების შეძენა და მოხმარება. საზოგადოება საადგილ-მამულო კომისიას სესხად 5,000 მან. სთხოვს იმ პირობით რომ ამ თავობით მიიღოს 2,000 მან., შემდეგ მი კი, როცა საქმეს უფრო გააფართოვებს, კიდევ 3,000 მან. სამეურნეო საზოგადოების საბჭომ დაადგინა, დაევალოს საკოოპერაციო სექციას, შეაგროვოს ცნობები ახმეტის ამხანაგობის შესახებ და თავისი მოსაზრებანი საბჭოს წარმოუდგინოს. ამის შემდეგ საბჭომ მოისმინა აგრონომ საყვარელიძის მოხსენება ხარჯებისა და აგრონომთა აქეთ-იქით წასვლის შესახებ და დაადგინა: დაევალოს საზოგადოების აგრონომებსა და ინსტრუქტორებს, რომ ვამოჰგზავნოს თავის მოქმედების ანგარიშები 15 თიბათვემდე იანვრიდან დაწყებული, ხოლო შემდეგისთვის მიღებულ იქმნას წესად, ყველა მათგანმა ცნობები თვე-და-თვე ჰგზავნოს ხოლმე როგორც თავის მოქმედებისა, ისე მეურნეობის სხვა და სხვა დარგის მდგომარეობის შესახებ. საბჭომ მოისმინა საკოოპერაციო სექციის მოხსენება საკოოპერაციო კურსების მოწყობის შესახებ და დაადგინა: მოეწყოს კურსები 15-დან 25 ივლისამდე; მოიწვიოს კურსებზე ცნობილი ლექტორები, კურსების მოწყობა მიანდოს საკოოპერაციო სექციას და გადაიდოს, თანახმად ხარჯთ-აღრიცხვისა, ამ საქმეზე 300 მან. ა. კახელაძის მოხსენების თანახმად საბჭომ 60 მან. გადასდო სამეურნეო იარაღების შეძენად. ამ იარაღების შეძენა დაევალა თვით ა. კახელაძეს, რომელმაც უნდა მოიაროს ერწოს ხეობა, აუხსნას მცხოვრებთ იარაღების მნიშვნელობა და გამოარკვიოს, რამდენად მოსახადებულია ნიადაგი იმისა, რომ მეურეობის საკოოპერაციო ამხანაგობა დაარსდეს. საბჭომ მოისმინა აგრედვე მოხსენება ლ. დიასამიძისა, რომელიც თხოულობდა სპეციალურ სტიპენდიების დაარსებას საგრონომიო პერსონალის მოსამზადებლად. საბჭომ დაადგინა, დაევალოს თვით დიასამიძესა და თ-დ ვახვახიშვილს, დაწვრილებით განიხილონ მოხსენება და შეიმუშავონ შუამდგომლობა თავად-აზნაურთა და სხვა დაწესებულებათა წინაშე წარსადგენად. დასასრულ საბჭომ განიხილა საკითხი: რომელ ადგილას მოიწვიოს სოფლის მეურნეთა კრება. საბჭომ კრების მოსაწვევად საუკეთესო ადგილად სოფელი საგარეჯო სცნო

ქუთაისის გუბ. თან.-აზნაურთა მორიგი კრება

26 მაისი.

წინანდელივან შედარებით ახლანდელი კრება სულ სხვა სურათს წარმოადგენს. თ-დი დ. ო. ნიჟარაძე ერთსა და იმავე დროს ოპოზიციაში ახლანდელ დეპუტატთა საკრებულოსთან და თავის წინანდელ მოქმედებაში პასუხს აგებს; წინანდელი ოპოზიცია, ჯერ-ჯერობით მაინც, მიჩუმებულია. დეპუტატთა საკრებულოს შეადგენს, შედარებით გამოუცდელი ხალხი, რომელსაც თ-დი დ. ო. ნიჟარაძე ხშირად ეკუას ასწავლის, ერთი სიტყვით, ძალთა განწყობილება შეცვლილია და, ამ ჟამად მაინც, ძნელი სათქმელია ბრძოლაში, რომელიც უკვე გახურდა, ვინ აღმოჩნდება გამარჯვებული.

26 მაისის კრებს პირველად მოხსენდა დეპუტატთა საკრებულოს წინადადება, რომ თავად-აზნაურობის მიერ სხვა და სხვა დროს ბანკიდან გატანილი 26 ათასი მანეთი, რომელიც ქართული გიმნაზიის საჭიროების თანხას ეკუთვნოდა, დაიფაროს ბანკის იმ თანხით, რომელიც თავადაზნაურობას ეკუთვნის.

საკითხი, როგორც ხედავთ, უბრალოა, მაგრამ პირველსავე ნაბიჯზე ცხარე კამათი გამოიწვია. ბ-ნმა კ. გოცირიძემ მოითხოვა, რომ გამოკვლეულიყო, მიიღო თუ არა სავსებით ეს ფული თავად-აზნაურობამ. ამ საგანზე გაიმართა ბაასი და იმით დასრულდა, რომ ბ-ნმა გოცირიძემ განაცხადა: ხსენებულ 26 ათასი მანეთიდან, 3000 მანეთს არც გიმნაზიამდი მიუღწევია, არც დეპუტატთა საკრებულომდიო და ამიტომ მოითხოვა, რომ საკითხის გადაწყვეტამდე საქმე გამორკვეულიყო.

ამ საგანმა დიდი შეტაკება გამოიწვია თ-დ. დ. ო. ნიჟარაძესა და ბ-ნი გოცირიძის შორის, პირველმა მეორეს დასწამა, რომ იგი სხვისი მონდობილებით მოქმედებს, მეორემ თ-დ ნიჟარაძეს „უღირსის“ სახელი უწოდა. ბოლოს თ-დი დ. ნიჟარაძის მომხრეთა წინადადებით არჩეულ იქნა კომისია, რომელმაც 27 მაისის კრებას მოხსენება უნდა წარუდგინოს ბანკიდან გამოტანილი ფულის შესახებ. კომისიის წევრებად აირჩიეს: თ-დი იასონ აფაქიძე, დავით კვირკველია და ალექსი ჯიჯინაძე.

ამის შემდეგ კრებამ მოისმინა სარევიზიო კომისიის მოხსენება, სადაც აღნიშნულია, რომ დეპუტატთა საკრებულოს საჭიროებისათვის უმაღლესად ბოძებული ფულიდან 1 მაისამდე 1913 წლისა დახარჯულა 9000 მანეთზე მეტი, იმ დროს როცა ეს ფული უკლებად უნდა გადასცემოდა ქართულ გიმნაზიას. აი ამ საგანმა გამოიწვია ხანგრძლივი და ცხარე კამათი, რომელიც იმითი დასრულდა, რომ დეპუტატთა საკრებულოს დაავალეს—ხსენებული 9000 მანეთი ქართულ გიმნაზიას დაუბრუნოს და კვლავ უმაღლესად ნაბოძები ფულიდან თავის საჭიროებისათვის არაფერი დახარჯოს. არის კიდევ წინადადება, რომ ეს ფული პირდაპირ გიმნაზიის ადმინისტრაციას გადაეცეს, მაგრამ იგი კენჭის ყრით უნდა გადაწყდეს.

ამის შემდეგ კამათი გაიმართა დეპუტატთა საკრებულოს მოხსენებაზე იმის შესახებ, რომ თავად-აზნაურთა წინამძღოლს და აგრედვე სახელმწიფო საბჭოს წევრს თ-დ ან. ერისთავსაც ბანკის საშუალებიდან მიეცეს პირველს—5000 მ. (!) ყოველ წლიურად, ხოლო მეორეს — 3000 მანეთი. უმრავლესობა თითქო მომხრეა ამ წინადადებისა, მაგრამ თ-დ სოლ. მიქელაძის განცხადებამ, რომ ბანკი ჯერ ისეთს მდგომარეობაში არ არის, რომ ფული გაიღოსო და ბ-ნ დავით კლიმაშვილის სიტყვამ იმის შესახებ, რომ თ-დ ანდრია ერისთავს არაფერით არ დაუმსახურებია ჩვენი ყურადღებაო, ცოტა არ იყოს შეარყია კრების უმრავლესობა. საბოლოოდ ეს საკითხიც გადაწყდება კენჭის ყრით 27 მაისს.

27 მაისი.

თ-დი დ. ო. ნიჟარაძის მოხსენების წინააღმდეგი—იმის შესახებ, რომ თავად-აზნაურთაგან არჩეულ პირთ უფლება არა ჰქონდეთ ადმინისტრატიული თანამდებობა მიიღონ,—არავინ იყო. თუ ვინმე იყო ამის წინააღმდეგი, მარტო პრაქტიკული მოსაზრებით. ბ-ნი გ. ლ. ქორქაშვილი და მასთან სხვებიც ამბობდნენ, რომ ჩვენი თავად-აზნაურობა ღარიბია, ი შვიათია ისეთი აზნაური, რომ თავის მამულის შემოსაკლით იცხოვროს და თუ მას წარმომადგენლობით თანამდებობას მოვახვევთ თავზე, მაშინ უფრო გართულდება საკითხი—ცხოვრების საღსრის აღმოჩენის შესახებ. ისევ ისა სჯობიაო, სთქვა ბ-მა ქორქაშვილმა, ეს სახსარი მოიპოვოს სახელმწიფო სამსახურით, ვიდრე სხვა, ხშირათ დასაგმობი, საშუალებით.

კამათმა დიდ ხანს გასტანა და დასრულდა თ-დი დ. ო. ნიჟარაძის წინადადების მიღებით.

მეორე საკითხი სხვაზე მეტად საინტერესო იყო—კრება ელოდა იმ კომისიის მოხსენების მოსმენას, რომელიც წინა დღით იქმნა არჩეული ბ-ნი ვ. გოცირიძის მიერ აღძრული კითხვის გამო, რომ თავად-აზნაურთა ბანკიდან მიღებული ფული შესაფერი საბუთებით არ არის გამართლებული თ-დ დ. ო. ნიჟარაძის მხრით.

კომიმიის მოხსენებიდან აღმოჩნდა, რომ ის ფული, რომელიც თ-დ დ. ო. ნიჟარაძეს მიუღია ბანკიდან, სავსებით დაუხარჯავს ქართული გიმნაზიის შენობაზე და ზედ თავისი 18 მაური დაუდვია. თ-დ ნიჟარაძეს მისგან გაწეული ხარჯის გასამართლებელი საბუთები წარუდგენია კომისიისათვის, მაგრამ, კომისიის აზრით, ეს საბუთები თ-დ ნიჟარაძეს კი არ უნდა ჰქონოდა, არამედ იმ დაწესებულებაში უნდა ყოფილიყო, რომლის სახელით ხარჯს ეწეოდა იგი. მიუხედავად ამისა გუშინდელ კრებაზე აღძრული ექვი განიფანტა და რაღა ლაპარაკი უნდა იმას, რომ თავ. დ. ო. ნიჟარაძემ სავსებით ისარგებლა ამით და სასტიკად გაჰკიცხა კ. რ. გოცირიძის მოქმედება.

ამის შემდეგ კრებას მოხსენდა ხარჯთ-აღრიცხვა, რომელსაც სხვა კითხვებთან ერთად, წინა კრებებზე აღძრული კენჭი უყარეს და ხმის უმეტესობით მიღებულ იქმნა.

ბ-ნ არაყიშვილის ჩამოსვლა

მოსკოვიდან ჩამოვიდა და გუშინ ჩვენს რედაქციასაც ესტუმრა ცნობილი მკვლევარი ქართულ მუსიკისა და ჩვენი კომპოზიტორი დიმ. არაყიშვილი. მას განზრახვა აქვს მოკლე ხანში გამართოს კონცერტი და გაგვაცნოს თავისი ნაშრომ-ნამღერი. როგორც გვითხრა, კონცერტი სამ განყოფილებისგან შესდგება: ჯერ წაიკითხავს ლექციას ჩვენი მუსიკის ღირსება-მნიშვნელობაზე, შემდეგ ამღერებს ხოროს სახალხო სიმღერებს თავის ჰარმონიზაციითა და ბოლოს დასდგამს ნაწყვეტებს თავის ოპერიდან „თქმულება შოთა რუსთაველზე“. ყველა ეს ფრიად საინტერესოა ჩვენს საზოგადოებისათვის და იმედი უნდა ვიქონიოთ, რომ ვისიც ჯერ არს, ჩამოსულ სტუმარსა და ჩვენს მოღვაწეს დახმარებას აღმოუჩენენ, რათა გაუადვილონ განზრახულ კეთილ საქმის ასრულება.

საზოგადოება „კახეთი“

მოგვვიდა ამ საზოგადოების 1911 წ.—1912 წ. საანგარიშო წლის (1 ღვინობისთვიდან 1 ღვინობისთვემდე) ქართულად დაბეჭდილი ანგარიში.

ბევრნაირად არის ამ საზოგადოების საქმეები საინტერესო: ჯერ როგორც ქართული დაწესებულება, მერე, როგორც კოოპერატიული, და მითაც, რომ ჩვენმა თავად-აზნაურობამ დიდძალი ფული (100,000 მანეთამდე) ჩასდო ამ საქმეში, რომ ათ ცოტათი შეფერხებული საქმე გამოეტრიალებინა. მანამ საანგარიშო წელს გადავავლებდეთ თვალსა, გავსინჯოთ ანგარიშში მოყვანილი (30 გვ.) „აღებ-ძიცემობისა და თანხების ცხოლი“. დიდად საინტერესო ცნობებია აქ. როგორც ვიცით, ეს საზოგადოება, სანამ დაარსდებოდა, ამხანაგობად ირიცხებოდა პირველ ორ წელს, შემდეგ კი, როცა წესდება დამტკიცდა (1896 წ.) და საქმეები ცოტა გააფართოვა, უკვე თავის ეხლანდელ სახელით დაიწყო ძოქმედება. პირველ წელს (1894 წ.), როგორც ამ ცხრილიდან სჩანს, საკუთარი თანხები სრულებით არა ჰქონია. შემდეგ წლიდან უკვე უჩნდება საკუთარი თანხა (12455 მ. 31 კაპ.), მერე ყოველ წელს მატულობს გასაოცარი ნაბიჯით და ამ ხაირად თავის არსებობის მე-13 წელს, ე. ი. 1906 წ.—1907 წ. არაფრისგან უკვე საკუთარი თანხა აქვს 179,476 მ. 34 კაპ. და წელიწადში 200—300 ათას მანეთის ღვინოს ჰყიდის, თავიანთ წევრთაგან მიღებულს. სწორედ ეს იყო, როგორც ეტყობა, მიზეზი, რომ ძის გამგეობას ასეთმა სწრაფმა განვითარებამ საქმისამ თვალები აუბა და წინდაუხედაობით მთელ თავის თავისუფალ ფულს წევრებს აძლევდა ავანსად შემდეგი წლების მოსავლის ღვინოში. სწორედ ამ ავანსებმა შეაფერხეს საქმე და დღეს ასეთი ფული, რომელიც წევრებზე ითვლება არის 81,701 მ. 76 კ., გარდა სარგებელისა, რომლითაც 120,000 მანეთამდე ავა. ავიდა რა მეცამეტე წელს ამ წერტილამდე, უკვე შემდეგი ცლიდან შეფერხდა და მთელი ის თანხა, რაც ამ წლამდე ცხრა წლის განმავლობაში შეიძინა ოთხ წელიწადში ხელიდან გამოეცალა და 1910—1911 საანგარიშო წელს ჰქონდა მხოლოდ 50877 მ. 96 კ. ამის შემდეგ წელს კიდევ დააკლდა საკუთარ თანხას (43882 მანეთამდე ჩამოვიდა), მაგრამ აქ ჯერ ცოტა შევსდგეთ.

ამ საზოგადოების ერთი ნიშანთაგანი კეთილდღეობისა გაყიდულ ღვინის რაოდენობაა. 1904—1905 საანგ. წელს საზოგადოებამ გაჰყიდა 80,000 ვედრო ღვინო, ამ წლიდან კი თანდათან კლებულობს გაყიდული ღვინის რაოდენობა და 1009—1910 საანგარიშო წელს ჩამოვიდა 45,000 ვედრომდე. სწორედ იმ დროს, როდესაც ღვინის გასავალი ასე თანდათან კლებულობდა და საკუთარი თანხებიც ყოველ წლივ სწრაფად ხელიდან ეცლებოდა, თავად-აზნაურობამ, მიუხედავად საქმის ასეთ დაქვეითებისა, დახმარების ხელი გაუწოდა და ასი ათას მანეთამდე ფული მისცა. მართლაც ამ დახმარების შემდეგ წლიდანვე ღვინის გასავალმა იმატა 1910—1911 წ. 57700 ვედრო გაჰყიდა, 1911—1912 წ. 67,000 ვედრო და მიმდინარე წელს უკვე 80,000 ვედროს იმედი აქვთ. თუმცა ამ საზოგადოების ეს კეთილდღეობის ნიშანთაგანი, ღვინის გასავალი, ყოველ წლივ მატულობს, მაგრამ საკუთარი თანხები კვლავ განაგრძობს კლებას; საანგარიშო წელს 43882 მ. 01 კაპ. ითვლება. რომ გადავშალოთ ანგარიშის მე-11 გვერდზე „საკუთარი საღებ-მიცემო თანხის“ ანგარიში, აქ თანხიდან გამოსარიცხად სწერია: 1) წარსული წლების ზარალი 3744 მ. 45 კ. 2) გადაწერილია ზარალში სარგებლის სარგებელი წევრთა ვალისა 7616 მან., და 3) მე-8 გვერდზე მოყვანილ ანგარიშში: (სარგებელი წევრების ვალზე) გადაწერილია ზარალში 13501 მ. 44 კ. ყველა ეს შეადგენს კარგ თანხას 24861 მ. და 89 კაპ. მთელი ეს ჯამი ზარალშია ნაანგარიშევი და გამოწვეულია უმთავრესად წევრებზე გაცემულ ავანსებისაგან. რომ ეს არა ყოფილიყო, მთელი თანხა საწევრო გადასახადებიანად წელს საკუთარ თანხას 80,000 მანეთამდე აიყვანდა.

რომ მკითხველისთვის უფრო ნათელი იყოს საქმის ვითარება, ორიოდე სიტყვას კიდევ ვიტყვი ზემოხსენებულ ავანსებზე. როგორც ზევით ვთქვით, საზოგადოება დაარსებიდანვე თანდათან ყოველწლივ მეტ ღვინოს ჰყიდდა, მაშასადამე ღვინის ბაზარს თანდათან აფართოვებდა. ფეხის გასამაგრებლად საჭირო იყო ღვინო უკლებლად ჰქონოდა; ამისთვის კი საჭირო იყო წევრებთან, როგორც ღვინის მწარმოებლებთან, მაგარი კავშირი ჰქონდა შეკრული. სწორედ ამიტომ იყო საჭირო თუნდ ავანსის მიცემაც. მაგრამ ძველ გამგეობას აქ დიდი შეცდომა მოუვიდა: ავანსებს კი აძლევდა, მაგრამ აძლევდა ისეთებს და იმდენს, რომელთაგანაც არ შეეძლო შემდეგ წელს ავანსის ოდენა ღვინო მიეღო; უფრო მეტიც: გარდა ამისა კიდევ არ აძლევდა ფულს იმ წევრთ, რომელთა ღვინოც ჰქონდა მიღებული. ამნაირად იმ დროს, როდესაც ავანსად გაცემული იყო 100,000 მანეთზე მეტი, იყვნენ წევრები, რომელთაც 40—50 ათასი (ყველას ერთად) ერგებოდათ და ვერ იღებდნენ ფულს. ამ დროდგან დაიწყო საქმის შეფერხებამ: წევრები, რომელთაც ავანსები ჰქონდათ მიღებული, ან ვერ აძლევდნენ ღვინოს ან და არ აძლევდნენ და ის წევრები, რომელთაც ძველი მოსავლის ღვინო არ ჰქონდათ მიღებული, ხომ ახალ მოსავლისასაც არ მისცემდნენ; გაჩნდა ამით ღვინის ნაკლებულობა, მუშტარი დაუკმაყოფილებელი რჩებოდა და, მაშასადამე, ბაზარიც უნდა დაჰკარგოდა. ყოველ წელს უფრო და უფრო ცოტა იყიდებოდა ღვინო, ხარჯები კი ისევ ძველ დონეზე იდგა: იმ წელიწადს, როდესაც 45,000 ვედ. ღვინო გაჰყიდეს, ხარჯები ისევ იმდენი იყო, რამდენიც იმ წელს, როდესაც 80,000 ვედრო გაჰყიდეს. ასეთ მწვავე მდგომარეობას განიცდიდა, როდესაც, როგორც ზევითაც ვთქვით, თავად-აზნაურობა დაეხმარა და ეხლა უკვე თითქმის მთლად გამოსწორებულია საქმეები, რამდენადაც ანგარიშიდანა სჩანს.—ავღნიშნავთ იმასაც, რომ საანგარიშო წელი (1911—1912 წ.) უკანასკნელია, როდესაც ძველი გამგეობის წევრები ცოტათი მაინც იღებდნენ მონაწილეობას. მიმდინარე წელს მთელი შემადგენლობა გამგეობისა სრულად ახალია. ეს ყოველთვის მხედველობაში უნდა ჰქონდეთ გამგეობის წევრებს, რომ ძველი შეცდომები არ გაიმეორონ.

ეხლა თვით ანგარიშზე. საანგარიშო წელს საზოგადოებას წარმოება ჰქონდა ტფილისში და სამ განყოფილებაში: ბაქოში, ასხაბადში და ტაშკენტში.

ნაღდი ფული. საანგარიშო წელს ფულის შემოსავალ-გასავალი მთელ წარმოებას ჰქონია 850,000 მანეთამდე და წლის ბოლოს აქვს ნაღდი ფული 1011 მ. და 47 კ., ტფილისში 3121 მ. და 33 კ., სულ კი 4132 მან. და 80 კაპ.

ღვინო ჰქონია წლის განმავლობაში 99210,95 ვედრო ღირებული 307,623 მ. ₾ 39 კ., გაუყიდიათ 67,341 ვედრო 239,619 მანეთად, ამაში 19,787 ვედრო გაუყიდია განყოფილებებს. ღვინოზე მოუგიათ ტფილისში 99148 მან. და განყოფილებებში 35329 მან. და წლის ბოლოს დარჩენიათ 33794 ვედრო ღირებული—80664 მ. ₾ 72 კ.

ჭურჭლეულობა: ბოჩკები, ბოთლები და სხვა ჭურჭელის წლიური შემოსავალ-გასავალი ყოფილა—160,000 მანეთამდე და წლის ბოლოს დარჩენიათ 17930 მანეთისა.

წევრები: წლის განმავლობაში წევრებისაგან მიუღიათ 50403 მანეთის საქონელი და მიუციათ სულ 62360 მ. 71 კ., წლის თავში წევრებს ერგებოდათ 31513 მ., წლის ბოლოს კი მხოლოდ 19202 მანეთი, უნდა ვიფიქროთ, რომ გადაუხდიათ ნაწილი ძველი ვალისა და ახალი ღვინის ფულიც. ამას გარდა არიან წევრები, რომელთაც მართებთ საზოგადოებისა 81701 მ. და ამ ვალის სარგებელი 23175 მ., გარდა ამისა, ამ სარგებლიდან ზარალში გადაუწერიათ 13501 მ.

საზოგადოებისა მართებთ სხვა და სხვა პირთ ვექსილებით და ნისიებით სულ 68725 მ., ამაში განყოფილებებისაა 22339 მანეთი. ამ ანგარიშების წლიური შემოსავალ-გასავალი უდრის 740000 მანეთს.

ხარჯები ჰქონიათ: მიმდინარე 54689 მ. ტფილისში და განყოფილებებში 23493 მ., ღვინის ჩამოზიდვა კახეთიდან 13362 მ. და განყოფილებაში გაგზავნა 8538 მ. და სარგებლები გადაუხდია წლის განმავლობაში 12869 მ. და აღებით კი არავისაგან არ აუღიათ, თუმცა კი საზოგადოებისა ბევრსა მართებთ, როგორც ზევითაც ვნახეთ. მთელი ხარჯები ყოფილა 112953 მ.

მოგება-ზარალი, როგორც ზევითაც ვთქვით, 13501 მ. წევრების ვალის სარგებლის ზარალში უანგარიშნიათ და ამიტომ მოგებად საანგარიშო წლისა მხოლოდ 564 მანეთია. კერძოდ კი ტფილისში მოგებაა 95 მ. და ტაშკენტის განყოფილებაში 3562 მ., ბაქოსა და ასხაბადის განყოფილებათ კი უზარალნიათ პირველს 2116 მ. და მეორეს 977 მ. საანგარიშო წლის ბოლოს წარმოებისა.

აქტივი: ნაღდი ფული, ღვინო, ჭურჭლეულობა, ქონება და სხვა და სხვა პირზე გაცემული ფული სულ 292975 მან. 95 კ.

პასივი: ვალები ვექსილებით, ნასესხი ფული საღებ-მიცემო თანხისათვის და სხვა და სხვა ვალები 248004 მ. 99 კ. დანარჩენი აქტივისა საკუთარ ქონებათ უნდა ჩაითვალოს.

მთელი წარმოების საანგარიშო წლის ყველა ანგარიშების შემოსავალ-გასავალი $3^1/_2$ მილიონს აღემატება. ამას რომ განყოფილებათა აღებ-მიცემობაც მიემატოს, თითქმის ხუთ მილიონამდე მიაღწევს.

ანგარიშის ბოლოს მოყვანილია ცხრილი ყოველთვიური ღვინის გასავლისა. ყველაზე დიდი გასავალი ჰქონია ღვინოს № 2, თითქმის 40000 ვედრო, შემდეგ № 6 1—22000, № 3—3500, № 4—2000, № 6 540 ₾ № 5—192 ვედრო. ენკენისთვეშიგა ყიდულა ყველა თვეზე მეტი 8082 ვედრო, ყველაზე ცოტა კი — თიბათვეში — 3543 ვედრო.

საზოგადო კრება დანიშნულია მომავალ კვირას, 2 თიბათვეს, როდესაც მორიგ საკითხთა გარდა განსახილველია საკითხი კახეთში საკუთარ სარდაფის აშენებისა, ვაჭრობის გაფართოებისა და ახალ წევრების მიღება. როგორც წინათაც იყო აღნიშნული, საზოგადოებას ამ ბოლო დროს დიდძალი ახალი წევრი მოემატა. საყურადღებო ის არის, რომ უმთავრესად გლეხკაცობა ემატება; ეს ძალიან სასიხარულო მოვლენაა. ამიტომ გამგეობას მართებს, ამ ახალ წევრებს რაც შეიძლება მეტი ყურადღებით მოეექცეს. ჭ.

მუშათა ცხოვრება

◆ ბალტიის ქარხნის უფროსმა განცხადება გამოაკრა, რომ ხომალდის განყოფილების მუშებმა ანგარიში გაასწორონ და ჩაბარონ ადმინისტრაციას იარაღები. 24 მაისს გაფიცულ მუშებს შეუერდნენ დურგლები და მღებრები. მოელიან საყოველთაო გაფიცვას.

◆ 24 მაისს პეტერბურგის წვრილ სახელოსნოების მუშების კრება გაიმართა, რომელმაც დაადგინა, სთხოვოს სათათბიროს სოციალ-დემოკრატ დეპუტატებს, შეიტანონ სათათბიროში კანონ-პროექტი სამუშაო დროის მოწესრიგებისათვის წვრილ სახელოსნოებში და აგრეთვე იმის შესახებ, რომ წვრილი მრეწველობაც დაემორჩილოს საფაბრიკო ინსპექციას, რომელშიაც მონაწილეობა უნდა მიიღონ მუშების წარმომადგენლებმაც.

◆ ნევის გემთა ქარხნის თუჯის სადნობ სახელოსნოს მუშებმა არ მიიღეს ახალი ლესნერის გაფიცული ქარხნის სამუშაო. ამის გამო ზოგიერთი მუშა დაითხოვეს.

◆ სემიონოვის ქარხანაში მუშებს ქირა დაუკლეს. 24 მაისს მუშებმა მუშაობა აკვეთეს და კრება გამართეს. აირჩიეს წარმომადგენლები და გაუგზავნეს ქარხნის პატრონს მოსალაპარაკებლად, რომელიც დაჰპირდა ხელ-ფასების გადასინჯვას.

◆ საველიევის მექანიკური ქარხნის მუშებმა კრება გამართეს, შეიმუშავეს ეკონომიური მოთხოვნილებანი და წარუდგინეს ადმინისტრაციას. ადმინისტრაციამ არ დაადასტურა მუშების მოთხოვნა, ამიტომ ისინი გაიფიცნენ.

◆ ბელოსტოკში გაფიცულნი არიან გალპერნის ფაბრიკის მუშები. მოითხოვეს სამუშაო ქირის 10% მომატება.

◆ კიევში მეჩექმეთა გაფიცვა თანდათან იზრდება. მათ ემხრობიან ფეხსაცმელების მაღაზიების მოსამსახურენიც. რამდენიმე მეჩექმე დაატუსაღეს.

◆ ეკატერინბურგში გაიფიცნენ სინარსკო-ზადრინის რკინის გზის მუშები. ზოგიერთი მუშა დაითხოვეს, რამდენიმე დაატუსაღეს.

◆ ვარშავაში ლილპოპის ქარხნის მუშების გაფიცვა გათავდა. მუშებს მოუმატეს ხელფასი.

◆ ოდესაში პოლიციამ ნება არ დართო მუშებს, კრება გაემართათ მოსალაპარაკებლად საავადმყოფო კასების მოწყობის შესახებ. ასეთი გარემოება ფრიად აბრკოლებს კასების გამართვას.

რუსეთი

უნივერსიტეტთა ავტონომიის დასამარება.

როგორც იტყობინებიან, სახალხო განათლების სამინისტრომ შეიმუშავა სათათბიროდან უკან წაღებული საუნივერსიტეტო ახალი წესდება, რომელშიც უნივერსიტეტთა ავტონომიის ნასახიც კი აღარ მოსჩანს. სამაგიეროდ გაფართოვებულია ოლქის მზრუნველთა უფლება უნივერსიტეტზე. განზრახულია, შემოიღონ სტუდენტთა ინსპექცია.

სემინარიელთა ფორმა.

ხმა არის, მიტროპოლიტ ვლადიმერის თაოსნობით სინოდში აღიძრა საკითხი, დაწესონ ერთგვარი ფორმა ყველა სასულიერო სემინარიათა მოსწავლეთათვის. ზოგიერთ სასწავლებელში სრულებით არ ყოფილა ფორმა. აზრათა აქვთ შემოიღონ ძველი ფორმა—კაბის ტარება.

საპატიმროების დათვალიერება.

საპატიმროთა უმთავრეს სამმართველოს ახალ უფროსს განზრახვა აქვს ივნისში ამურის ოლქში კატორღელთა ციხეები დაათვალიეროს. მისი წასვლა გამოწვეულია კატორღის რეფორმის შესახებ სათათბიროში კანონ-პროექტის შეტანით.

სამღვდელოება რუსეთში*)

ეხლა მონასტრების მიწათმფლობელობას გადავავლოთ თვალი. კანონის თანხმად, თვითეულ მონასტერს ეთმობა 100—150 დეს. მიწა და უკეთუ საჭიროებამ მოითხოვა, მეტიც. მიწის გარდა, მონასტერს ეძლევა აგრედვე წისქვილი და თევზის საჭერი ალაგი. სამონასტრო მამულები თან და თან იზრდება სხვა და სხვა შეწირულების სახით. გარდა ამისა, მონასტრები, უკეთუ საჭიროებამ მოითხოვა, მიწებს კიდევაც ყიდულობენ, რომელიც უმაღლესი ნებართვით უნდა მოხდეს. ქვემოდ მოყვანილი ცხრილი საკმაო სიცხადით გვისურათებს რუსეთის მონასტრებს, როგორც მიწათმფლობელებს. აქედან ჩვენ დავინახავთ, რომ მონასტრებს შორისაც არის მსხვილი, საშუალო და წვრილი მესაკუთრე. მრავალ მონასტერს კანონში ნაჩვენებზე მეტი სივრცის მიწა უჭირავს.

მიწის რაოდენობა	მონასტერთა რიცხვი
50 დეს. აქვს	36
50—100	57
100—200	133
200—500	235
500—1000	94
1000—3000	59
3000—5000	12
5000—10000	7
10000-ზე მეტი	5

აქედან სჩანს, რომ ჩამოთვლილ მონასტერთა შორის 83 მსხვილი მესაკუთრეა, მაგრამ მათში ძლიერ მსხვილებიც არიან. ასე მაგალითად, სოლოვეცის მონასტერს 66 ათასი დესეტინა მიწა უჭირავს, კოლეოზერის მონასტერს — 24.836 დესეტ., ტროიცკო-ზელენეცის მონასტერს 19.272 დეს., საროვის უდაბნოს—26.239 დეს., მოგილიოვის უდაბნოს 19 872 დეს. გრ.—ბირიუკოვის მონასტერს—25.953 დეს.

უნდა ვიფიქროთ, რომ ჩამოთვლილ მონასტრების გარდა კიდევ სხვა მონასტრებიც უნდა იყვნენ ასეთივე მსხვილი მესაკუთრენი და შეიძლება უფრო მსხვილიც, რადგანაც ცხრილში მოყვანილია ცნობები მხოლოდ

*) იხ. „სახ. გაზ.“ № 907.

638 მონასტრის შეეხება, რუსეთში კი ჯერ კიდევ 1908 წელს 923 მონასტერი ითვლებოდა. უნდა ვიფიქროთ ისიც, რომ უკანასკნელ ხუთი წლის განმავლობაში მონასტერთა რიცხვი უფრო გაიზრდებოდა და დღეს შეიძლება ათასიც იყოს.

ეკლესია-მონასტრები მარტო მიწისმფლობელებს კი არ წარმოადგენენ, არამედ იგინი წარმოადგენენ აგრეთვე სხვადასხვა შენობების მესაკუთრეებსაც. მათს საკუთრებას შეადგენს არა მარტო ის სახლები, რომლებშიაც საეკლ. კრებულნი სცხოვრობენ, არამედ მათვე ეკუთვნის ის სახლები და შენობებიც, რომლებიც ქირავდება და დიდი სარგებლობა მოაქვს, რენტის გვარი. არავითარი ეჭვიც არ შეგვიძლიან ვიქონიოთ იმაზე, რომ ამგვარ შენობათა რიცხვი ძალიან დიდი იქნება. ამათი სრული რიცხვი არ არის ნაჩვენები უწმ. სინოდის ობერ-პროკურორის ანგარიშებში.

საინტერესოა აგრედვე ეკლესია-მონასტრების მიწათმფლობელობის ისტორია. მეთვრამეტე საუკუნეში, როგორც ვიცით, ეს მიწათმფლობელობა უფრო მეტად იყო განვითარებული, ვიდრე დღეს არის.

რუს სამღვდელოების მიწათმფლობელობა განსაკუთრებითი მონღოლთა ბატონობის დროს გენვითარდა. იმ დროს სამღდელოებამ განსაკუთრებით გააფართოვა და განამტკიცა თავისი მიწის საკუთრება და სიმდიდრენი. ამას ის გარემოებაც უწყობდა ხელს, რომ მონღოლთა ხანები სიკვდილით დასჯის მუქარით მკაცრად უკრძალავდნენ თავიანთ მოხელეებს, საეკკლესიო ქონებას ხელი არ ახლოთო. ასეთსავე ბრძანებას აძლევდნენ ხანები ყველა თავიანთ ქვეშევრდომებსაც. პროფესორ გორჩაკოვის სიტყვით, მე XI საუკუნის დასაწყისიდან საეკკლესიო დაწესებულებანი უკვე იძენდნენ ყმებით დასახლებულ ადგილებს. მონღოლთა ბატონობის დროს ეკკლესია-მონასტრებს ბევრი ამგვარი შეწირულებანი მოსდიოდათ, როგორც თავადებისაგან, ისე სხვა კერძო მიმიწისმფობელთაგანაც. მონღოთლთა ბატონობის გადავარდნის შემდეგაც კი XV-XVII საუკუნებში ეკკლესია-მონასტრების მიწათმფლობელობა უფრო და უფრო იზრდებოდა. კოლლეგენსის მოწმობით, რომელმაც მე-XVII საუკუნეში, ალექსი მიხეილის ძის მეფობის დროს, რუსეთი ინახულა, თიოკმის მთელი სახელმწიფოს ორი მესამედი ეკლესიის საკუთრებას შეადგენდა. კოტოშიხინის მოწმობით, მის დროში პატრიაქეს ეკუთვნოდათ 7.000 კომლი ყმა. არქიელებს 28.000 კომლი, მონასტრებს 83.000 კომლი. პროფესორ გორჩაკოვის სიტყვით, სამღვდელოება ორ მიმართულების დასაწყისს ემსახურებოდა: საეკლესიოს და მესაკუთრეობისას, და სწორედ ამ უკანასკნელის წყალობით რუსის სამღვდელოებამ დიდი როლი ითამაშა ბატონყმობის განვითარების საქმეში, რომელიც თვითონაც ისევე დაინტერესებული იყო, როგორც სხვა მებატონეები.

1744 წლის რევიზიის დროს აღმოჩნდა:

უწმ. სინოდ. ეკუთნოდა 31.468 სული
არქიელების სასახლეებს 132.946 —
მონასტრებს . . . . 660.185 —
ეკკლესიებს . . . . 35.003 —

მე-XVIII საუკუნეში ყველაზე მსხვილი მესაკუთრე, როგორც მიწის რაოდენობით, ისე ყმათა რიცხვით, ტროიცკო-სერგიევის ლავრა იყო, რომელიც მრავალ მამულებს ჰფლობდა 15 გუბერნიაში და 106 ათასი სული ყმა ჰყავდა. 1760 წლის დასაწყისში საეკლესიო დაწესებულებათა გლეხების რიცხვი 991.761 სულს უდრიდა, რომელიც ველიკოროსიის და ციმბირში მოსახლე გლეხობის 13,8%-ს შეადგენდა. საშუალო რიცხვით, თითოეულ მონასტერზე 1445 სული ყმა მოდიოდა, თითო არქიელის ზინაზე—7.474 სული. მონასტრები და არქიელთა სახლები თავიანთ ყმათა შორის ირჩევდნენ მოსამსახურეებს, შინაყმებს. საეკლესიო მიწათმფლობელნი ამასთანავე უფრო მსხვილ მესაკუთრეებს წარმოადგენდნენ, ვიდრე სხვა ბატონები.

მე-XVIII-ე საუკუნის მეორე ნახევარში, 26 თებერვალს 1764 წ., ეკატერინა მეორის დროს სამღვდელოებას ჩამოერთვა მიწები და სახელმწიფოს საკუთრებად გადავიდა, რომლის დროსაც არავითარი გამოსყიდვა არ მომხდარა. კერძო უქაზის ძალით საეკკლესიო და სამონასტრო კერძო საკუთრება უკვე სახელმწიფოს საკუთრებად იქმნა აღიარებული. მართალია, თუმცა ეკლესია-მონასტრებს რაოდენიმე მიწა დაუტოვეს და ფულით შემწეობაც დაუნიშნეს, მაგრამ ჩამორთმევის დროს არავითარი შეფასება არ მომხდარა და ფულით შემწეობაც ჩამორთმეულ მიწათა ღირებულობის დაგვარად არ მიეცათ; ამიტომაც იმ დროინდელ ეკლესია-მონასტრების მიწათა სეკულიარიზაციას არ შეგვიძლიან გამოსყიდვა ვუწოდოთ. ეს, მართალია რომ ვსთქვათ, მხოლოდ იძულებითი ჩამორთმევა იყო,—ფაქტი, რომელიც სხვა ასეთ ფაქტების შესაძლებლობას გვიმტკიცებს. ამ სეკულიარიზაციის დროს სახელმწიფომ ეკლესია-მონასტრებს ჩამოართვა სულ 911 ათასი სული ყმა, აქ სათვალავში არ შედის უკრაინა და კიდევ შემდეგი ოთხი გუბერნია: ხარკოვისა, ეკატერინოსლავისა, კურსკისა და ვორონეჟისა. მალოროსიაში ასეთი ჩამორთმევა მოხდა 1786 წელს, ხოლო ზემოხსენებულ ოთხ გუბერნიაში კი—1788 წელს.

ყველა ზემოდ ნათქვამი რუსის სამღვდელოების ისტორიის ერთ-ერთ დამახასიათებელ ფურცელს წარმოადგენს, რომელიც ნამეტან თვალსაჩინოდ გვიხატავს მის ურთიერთობას და განწყობილებას ერთის მხრით სახელმწიფოსთან და მეორის მხრით სხვა მიწათ-მფლობელთა კლასებთან. მაგრამ შაინც სამღვდელოების ეკონომიური საძირკველი იყო და არის არამც თუ მარტო მიწა, არამედ აგრეთვე დიდ-ძალი ფული და ამასთანავე ის თანხაც, რომელსაც იგი ხაზინიდან და მრევლიდან იღებს.

საინტერესოა სტატისტიკურად განვიხილოთ სამღვდელოების შემოსავალთა ზემოდ აღნიშნული წყაროები. სამწუხაროდ, ცნობები იმ თანხების შესახებ, რომლებიც ეკლესიებსა და მონასტრებს ეკუთვნის, უწმ. სინოდის ანგარიშებში არ არის გამოქვეყნებული. მოვიყვანთ ზოგიერთ კერძო ცნობებს.

ალექსანდრე ნეველის ლავრის კაპიტალი სამ მილიონ მანეთს უდრის. ამაში არ შედის ფასიანი ქაღალდები. ვალაამის მონასტერს ჯერ კიდევ 1904 წელს სამასი ათასი მანეთი ჰქონდა მარტო „მოსახსენებლებისა“. ტროიცკო-სერგიევის და კიევო პეჩორის ლავრების კაპიტალი ბევრად გადაჭარბებს ალექსანდრე ნეველისას. არც კიღირს ეჭვი ვიქონიოთ იმაზე, რომ იმ თანხების რაოდენობა, რომლებსაც სამღვდელოება ჰფლობს, მილიარდებს თუ არა, ყოველს შემთხვევაში ას მილიონებს მაინც უნდა უდრიდეს.

მაგრამ ეს ჯერ ყველაფერი არ არის. სახელმწიფოს ხარჯთ აღრიცხვის თანახმად, უწმ. სინოდის უწყებას ხაზინიდან ყოველწლივ ათეული მილიონები ეძლევა. 1861 წელს მიეცა 5.028.364 მან., 1910 წელს კი 34.195.217 მ. როგორც ვხედავთ, 50 წლის განმავლობაში უწმ. სინოდის ბიუჯეტი თითქმის ერთი-შვიდად გაზრდილა. 1910 წელს ამ ბიუჯეტიდან დაიხარჯა:

არქიელების სახლებზე . . 930.479 მ.
მონასტრებზე . . . . 397.283 „
სამღვდელოებაზე და მისიონერებზე . . . 13.637.744 „

ახლა განვიხილოთ, თუ რამდენი შემოსავალი აქვს სამღვდელოებას მრევლისაგან. სამწუხაროდ, მათი ამ დარგის შემოსავლის შესახებ არავითარი დაწვრილებითი ცნობები ხელთ არა გვაქვს. ბ. კლიჩევსკი ამ შემოსავალს ანგარიშობს იმისდა მიხედვით, თუ რამდენი მართლმადიდებელი დაიბადა 1902 წელს, რამდენი დაქორწილდა და რამდენი გარდაიცვალა, და ის დასკვნა გამოჰყავს, რომ თვითეულ მღვდელმოქმედს უმთავრეს წესების შესრულებიდან (ნათლისღება—50 კაპ., ჯვრის-წერა—5 მან. და დამარხვა—3 მან.), სულ ცოტა რომ ვთქვათ, საშუალო რიცხვით წელიწადში სამასი მანეთი უნდა შემოსდიოდესო. ეს მხოლოდ შემოსავლის მინიმუმს შეადგენს.

ალექსანდრე ნეველის ლავრას ყოველწლივ ერთნახევარ მილიონზე მეტი შემოსავალი აქვს, აქედან საეკლესიო 200 ათასი, უძრავ მამულებიდან 500 ათასი და სხვა. ტროიცკო-სერგიევის ლავრის შემოსავალი ათ-მილიონობით უნდა ვიანგარიშოთ. ვალაამის მონასტერს აქვს 200 ათასი მანეთი შემოსავალა, აქედან ოცი ათასი საკუთარ გემებიდან, 22 ათასი სანთლიდან და თორმეტი ათასიც, კაპიტმლის პროცენტებიდან. საზოგადოდ, როგორც ეკლესიების, ისე მონასტრების ადგილობრივი შემოსავალნი მთელ საეკლესიო შემოსავლის უდიდეს ნაწილს შეადგენენ.

მაღალ სამღვდელოების შემოსავალზე შეგვიძლიან ვიმსჯელოთ შემდეგი ფაქტების მიხედვით: ალექსანდრე ნეველის ლავრის იღუმენი ჯამაგირად წელიწადში იღებს 1.800 მან., შემოსავალი აქვს 65.000 მანეთი. ეკონომს აქვს წელიწადში 20.000 მანეთი. ამავე ლავრის თვითეულ ბერს წელიწადში 3.500 მანეთამდე აქვს. ძალიან დიდი შემოსავალი არქიელებს აქვთ. ჯამაგირის და სანოვაგის გარდა, რომლებსაც იგინი იღებენ, მათვე მოსდით აგრეთვე ყველა საქმო მონასტერთა შემოსავლის მესამედი და საარქიელო მონასტრის (подворіе) შემოსავალი მთლად.

მოსკოვის მიტროპოლიტი იღებს ჯამაგირს 6.000 მ., სადილისთვის 4.000 მან., არქიელის სახლის შემოსავლიდან 8.000 მ., ჩუდოვის მონასტრიდან 6.000 მან., ივერიის სამლოცველოდან 45.000 მან., სულ წელიწადში იღებს 81.000 მან.

პეტერბურგის მიტროპოლიტს აქვს ჯამ გირი 5.000 მ., სადილისა 4.000 მან., ალექსანდრე ნეველის ლავრიდან 250.000 მან., სულ წელიწადში მოსდის 259.000 მან.

კიევის მიტროპოლიტი იღებს ჯამაგირს 5.000 მან., სადილისას 4.000 მან., საარქიელო სახლიდან 10.000 მან., პეჩორის ლავრიდან 65.000 მან. სულ აქვს წელიწადში 84.000 მან.

ბაგრატ ბეთანელი.

დეპეშები

დეპეშათა პეტერბ. სააგენტო)

29 მაისი.

უცხოეთი.

სტამბოლი. რამდენიმე დღის წინად 30-მე სამხედრო და სამოქალაქო პირმა საიდუმლო კრება მოახდინა რემეიდანში. მათ უნდა განეხილათ მთავრობის დასაბრუნები ზომები. პოლიციამ 15 კაცი შეიპყრო. სამხედრო გუბერნატორი და პოლიცია დაეძებენ დანარჩენებს.

სტამბოლი. მოჰკლეს დიდი ვეზირი მაჰმუდ-შევკეთ ფაშა. ოფიციალური წრეები დიდის ყურადღებით ადევნებენ თვალყურს მოკავშირეთა განხეთქილებას; მათ იმედი აქვთ შეიარაღებულ შეტაკებს შემთხვევით ისარგებლონ. სამარი სურსათი იგზავნება ჩათალჯაში.

სტამბოლი. დიდი ვეზირი მოჰკლეს შუადღისას, როდესაც პორტაში მიდიოდა. ორი შეიარაღებული პირი მიუახლოვდა დიდ ვეზირის ავტომობილს და რევოლვერი ესროლა. ხმებია, დიდი ვეზირის მოკვლა შედეგია პროგრესისა და ერთობის კომიტეტის საწინააღმდეგო შეთქმულებისაო.

სტამბოლი. საგარეო საქმეთა მინისტრი პრინცი ქალიმ-საიდ-ფაშა დაინიშნა დროებით დიდი ვეზირის თანამდებობის აღმასრულებლად. სულთანმა მწუხარება გამოსთქვა დიდი ვეზირის მოკვლის გამო.

ქუჩაში საღამოს ათი საათის შემდეგ გასვლა აკრძალულია.

ლონდონი. საზოგადოებათა პალატაში, როდესაც ასკვიტი საფინანსო ბილის თაობაზე სიტყვას ამბობდა, ხალხიდან მინისტრს ესროლეს ფქვილით სავსე ტომარა. ტომარა სკამერის გვერდით დაეცა. ტომრის გადმომგდები დარბაზიდან გააძევეს. ჰგონიათ იგი მომხრე არის სუფრაჟისტებისაო. ასკვიტმა სიტყვა აუღელვებლივ განაგრძო.

ლისაბონი. კამოენსის იუბილეის დღესასწაულობის დროს, როდესაც ბავშვთა ბრბო მგოსნის ძეგლისკენ გაემართა, ყუმბარამ იფეთქა. რამდენიმე კაცი დაიჭრა, მოკვდა ერთი. აღშფოთებულმა ბრბომ გაანადგურა ანარქისტთა კიოსკი.

ბრიუსელი. სენატი სამხედრო რეფორმის განხილვას შეუდგა. მინისტრ-პრეზიდენტმა განაცხადა: რეფორმის განხორციელება 284 მილიონ მანეთს მოითხოვს. საჭიროა სესხის აღებაო.

სოფია. გენერალი პაპრიკოვი პეტერბურგის კონფერენციის დადგენილებათა აღმასრულებელ კომისიის თავმჯდომარედ დაინიშნა.

ოფიციოზი „მირი“ სწერს: სერბიელებს ომი ჰსურთ. ამ პირობებში ბულგარეთს საშუალო გზის ამორჩევა ვერ შეუძლიან. მთავრობამ დაუყონებლივ უნდა მოითხოვოს უდავო ადგილის განთავისუფლება და სადავო ადგილზე ჯარი უნდა გაჰგზავნოს.

ბუქარესტი. გაზეთების აზრით, რუმინია განხეთქილების შემთხვევაში უბრალო მაყურებლის როლს არ დაჰკმაყოფილდება. თუ ვინიცობაა ომი ასტყდა, რუმინიამ უნდა მოახდინოს თავის ძალთა მობილიზაცია.

ბერლინი. რეიხსტაგი 28 მაისს შეუდგა სამხედრო რეფორმის განხილვას. ამის გამო შინაური პოლიტიკური მდგომარეობა ფრიად აწეწილ-დაწეწილია. ცენტრი და მემარჯვენენი მოითხოვენ კანონ-პროექტის მიღებამდე მთავრობამ სახსარი გამოსძებნოს მოსალოდნელ ხარჯთა დასაფარავად. მთავრობის მოსაზრებანი არავის აკმაყოფილებს. რეიხსტაგის დათხოვნაც მოსალოდნელია, თუ სოციალისტებმა და ცენტრმა უარჰყვეს კანონპროექტი.

ლვოვი. საოსტატო სემინარიის მოსწავლემ უკრაინელმა შიგალომ მოჰკლა პოლონელი პროფესორი შუტოვსკი.

ლვოვი. შიგალოს შეპყრობის დროს, მის ამხანაგებსა და პოლიციის შორის შეტაკება მოხდა, რამდენიმე მოსწავლე დაიჭრა.

რუსეთი.

პეტერბურგი. დაიჭირეს „პრავდას“ და „ლუჩის“ მე-122 ნომრები.

პეტერბურგი. გაიხსნა პიროგოვის კრება. მისასალმებელი სიტყვა წარმოსთქვა პროფ. სიროტინინმა. კრებაზე ათასამდე დელეგატი მივიდა.

ტომეს საქმე. წაიკითხეს გეისმარის დედასთან მოწერილი წერილები. გეისმარს ნაზად ჰყვარებია თავისი დედა. ჩვენება ჩამოართვეს მაძებარ პოლიციის საგანგებო საქმეთა მოხელეს კუნცევიჩს; კუნცევიჩის ჩვენებით განსაკუთრებით გეისმარი სცდილობდა როგორმე მიეჩქმალა დანაშაულობის კვალი; დოლმატოვი გამოუტყდა კუნცევიჩს, მხოლოდ დაწვრილებით არ უამბნია. ჩვენება სხვა მოწმეებსაც ჩამოართვეს.

კიევი. გაიხსნა სრულიად რუსეთის საქარხნო-საფაბრიკო, სავაჭრო-სამრეწველო, სასოფლო-სამეურნეო და საძხატვრო-სამეცნიერო გამოფენა.

წერილი რედ. მიმართ

ბატონო რედაქტორო! უმორჩილესადა გთხოვთ თქვენს პატივცემულ გაზეთში დაუთმოთ ადგილი ჩემდა რწმუნებულ აწყურის ეკლესიის სასარგებლოდ შემომწირველ პირთა სიას: გაბო ნიკიტინი 3 მან. პავლე ი. გელაშვილი 3 მ., შაქრო წიქვაძე 3 მ., დიმიტრი მარტინენკო 1 მ., სტეფანე მარტინენკო 1 მ., გიორგი მარტინენკო 50 კ., გაბრიელ მარტინენკო 50 კ., გიორგი ჭიპაშვილი 50 კ., მიკირტიჩ ხაგაგორტოვი—სოფლის მწერალი—50 კ. დედანი სიისა ინახება შესავალ-გასავლის დავთარში.

აწყურის მიძინების ეკლესიის
მღ. ე. **ინასარიძე.**

რედაქტორ-გამომცემელი
ა. ჯუმბაძე.

მატარებელთა მიმოსვლა
(ზაზეულობით)

18 აპრილიდან
(დრო აღნიშნულია ტფილისის საათით).

ტფილისიდან გადის.

ბაქოსაკენ: № 6, **ჩქარი** პლაკ. დილ. 10 ს. 16 წ., № 2, **სამგზ.-საბარგო** ნაშუადღ. 3 ს. 35 წ., № 4, **საფოსტო** საღამ. 10 ს. 16 წ., № 8, **სამგზავ.** საღ. 6 ს. 29 წ., № 106, **ნარეკი** მეოთხე კლასის ვაგონით, ტვირთის გადასაზიდი სამგზავრო მატარ. სისწრაფით ღამის 4 ს. 23 წ.

ბათომისაკენ: № 3. **სფ.** დილ. 9 ს. 51 წ., № 11, დილ. 11 ს. 28 წ., (ივლის პირველ მაისიდან 14 ენკენისთვემდე). № 7, **ჩქარი** ფლაკ. ნაშ. 4 ს. 40 წ., № 9, **სამგზ.** ღამის 10 ს. 3 წ., № 107, **ნარეკ.** მეოთხე კლას. ვაგონებით, ტვირთ. გადასახ. სამგზ. მატ. სისწრაფით დამ. 2 ს. 48 წ.

ბორჯომისაკენ: № 17, **სახ.** დილ. 8 ს. 2 წ. (15 მაისიდან 14 ენკენისთვემდე). № 19, **სამგზავრ.** ნაშუადღ. 3 ს. 16 წ.

მცხეთაში: № 65, **საბარგო** დილ. 8 ს. 46 წ., № 67, **საბ.** ნაშუადღ. 2 ს. 43 წ.

ეს მატარებლები ივლიან პირველ მაისიდან 14 ენკენისთვემდე კვირა-უქმე დღეებით. მატარებელი № 67, უქმის წინა დღეებშიაც. ტფილისში უკანვე დაბრუნდებიან № 65 შუადღ. 12 ს. 5 წ. და № 67 საღ. 8 ს. 28 წ.

ჯულფისაკენ: **სფ.** № 4,3, შუადღ. 12 ს. 51 წ.

ყარსისკენ: **სახ.** № 14/13, ღამ. 12 ს. 46 წ.

ერევანისკენ: № 24,23, **საბარგ.-სამგზ.** საღ. 8 ს. 8 წ. მეორე და მესამე კლას. ვაგონებით.

ტფილისში მოდის:

ბაქოდან: № 3, **სფ.** დილის 9 ს. 1 წ., № 21, **საბარ.-სამგზ.** დილ. 10 ს. 28 წ., № 7, **სამგ.** მოსკოვი-კოზლოვი-რიაზანი-როსტოვი, ნაშუადღ. 3 ს. 53 წ., № 5, **ჩქარი**—პეტერბურგი-მოსკოვი-კურსკი-ხარკოვი, საღ. 9 ს. 35 წ., № 106, **ნარეკ.**, მეოთხე კლ. ვაგონებით, ტვირთის გადასაზიდი სამგზავრო მატარ. სისწრაფით ღამის 2 ს. 12 წ.

ბათომიდან: № 10, **სამგზ.** დილ. 8 ს. 40 წ. № 12, **სამგ** შუადღ. 2 ს. 29 წ. (პირველ მაისიდან 14 ენკენისთვემდე). № 8, **სამგზ.** საღ. 5 ს. 54 წ., № 4, **სფ.** საღ. 9 ს. 16 წ., № 106, **ნარეკ.** ღამ. 2 ს. 12 წ.

ექიმი ა. ნ. ჭიასამიძე კანისა და ვენერიულ ავადმყოფებს იღებს ყოვ.-დღე ნაშუადღ. 2—3 ს. საღამ. 6—7 ს. ხუთშაბ. მხოლოდ დილ. 8—9 ს. ვერ. ავადმყ. არ იღებს. ტოსკოვის ქუჩა, № 3, სახ. გაბაშვილისა.

ექიმ ნავასარდიანის
პირველი კერძო სამკურნალო
(დაარსებულია 1880 წელს)
ვორონცოვის ძეგლის პირდაპირ.

ავადმყოფების მიღება ყოველ დღე, გარდა კვირისა.

დილით:
„606“ და „914“
11—12 ს. შემხაკუნება
კონსულტაციურად.

ბ. ა. ნავასარდიანი: 11—12 ს ქირურგიული და ვენერიული (სიფილ.) ავად.

ბ. გ. აგასაროვი: 1—2 ს. ბავშვთა შინაგანი ავადმყ.

კ. მ. ჩიქოვანი: 9½—10 ს. თვალისა, შინაგანი და ნერვებისა.

ზ. ი. ბაბანასოვი: 10—11 ს. ცაბეური, ქალებისა და ბავშვებისა.

ნ. ტ. მულინი: 10—12 ს. ყურისა, ცხვირისა და ყელისა.

მ. გ. ავეტისიანცი: 11—12 ს. კანისა, სიფილისი, ვენერ., საშ. და ქირურგ

ა. ბ. კარაპეტიანცი: 12—1 ს. შინაგანი, სბავშვო და ყვავილის აცრა.

ექიმი ქალი **ო. ვ. ტერ-დავიდოვისა** 1—2 ს. საბებიო და ქალების ავადმყ.

საღამოთი:

მ. გ. ავეტისიანცი: 6—7 საათ. რჩევა-დარიგება 50 კაპ. ხელმოკლეთათვის უფასოდ, კონსულტაციები და ოპერაციები მორიგებით.

სამკურნალოს დირექტორი მედიცინის დოქტორი **ბ. ა. ნავასარდიანი.**
1004

უფასო საექიმო დახმარება
ქალაქის საბჭოს ექიმები.

უბნები
1—2 **გ. ბ. გედეანი** (სდგას ვერაზე, ოლგის ქუჩა, 22. ტელეფ. 592).
3—4 **მ. ი. შავერდოვი** (ფეთხაინის აღმართზე, 1, ტელ. 619).
6—6 **ტ. მ. თამეთიანი** (ველიამინოვის, 4, ტელეფ. 680).
6—7 **შ. ა. მიქელაძე** (ავლაბარში, კახეთის ქ., 1, ტელ. 715).
8—9 **ნ. დ. ხატისოვი** (კუკიაში, ნიკოლოზოვის ქ. 7, ტელ. 715).
10, 11—12 **ა. ი. შარიბანინისა** (დიდუბეში, საგურამოს ქ. ნ. ტელეფ. 71.

სასანიტარო ექიმები

უბნები: 1, 2—9 **ბ. ფომინა-ოსიპოვისა** ვაკეში, საკუთარი სახლი, ტელეფ. 461).
მე-4 და რუსის ბაზარში **ქრ. ლ. ქალითაროვი** (სოლოლაკი, ამაღლების ქ. ტელ. 517).
5—6 **ი. ბ. ზაბლუდოვსკი** (გრიბოედოვსკი, 10. ტელ, 645).
10, 11—12 **ვ. ა. მირაქოვი** (მიხეილის-ქ., 17¼ ტელ. 327).
7—8 **ვ. თ. ნათიშვილი** (ვორონცოვის ძეგლთან, ბოხუშენტნი შესახვ. 5. ტელ. 487).

სახურველია, თვითონ მცხოვრებლები დაგვეხმარებოდნენ სასანიტარო წესიერების შეტოებაში და სადაც-კი ამ მხრივ უწესობას შეაჯნიშნავენ—სახლებში თუ სხვა ადგილებში სასანიტარო მოთხოვნილებათა აღრვეველებდეს საქმელ-სასმელს ეკეთებენ და ჰყიდნია, და სხ.—დაუყონებლივ ზეძოდ დასახელებულ ექიმებს აცნობონ, წერილობითი განცხადებები ყველას შეუძლიან გარდასცეს ქალაქის სავაჭრო პოლიციის კანტორებში: ვერის მოედანზე. რუსის ბაზარში, თაბორის მოედანზე, კახეთის მოედანზე, ავლაბარში რიყის ქუჩაზე, 64, ვლისაბედის ქუჩა 56 და მალაკნის მოედანზე.

თელავში

კახეთის რკინის გზის ახლო იყიდება: **ვენახები, სასახლე და სახნავი მიწები და გაუტეხავი ტყე.**

მსურველთ შეუძლიანთ მიჰმართონ **ფოტოგრაფს ივ. ზ. ბარკალაიას** ქ. თელავში. 1216

ქალაქის სავაჭროფიცეები

მთავარი—მუხრანი. ქუჩა, 9.
ავლაბრისა—კახეთის ქ. № 15.
ხარფუხისა—ვორონცოვის ქ. 55.
კუკიისა—ჩერქეზიშვილისა, 1—18.
დიდუბისა—საგურამოს ქ. 5.

ქალაქის საბჭოს ექიმები მოვალენი არიან ღარიბ მცხოვრებთ უფასო საექიმო დახმარება აღმოუჩინონ ქალაქის საავადმყოფოებში და თვითონ ავადმყოფის ბინაზედაც ყოველმა თავ-თავის უბანში), თუ უბრალო ექიმი დილის 11 საათამდე მოიწვიეს, ვალდებულია იმ დღესვე ინახულოს ავადმყოფი, გაოდა საჭიროა შეეთხვევებისა, როცა დახმარება დაუყოვნებლივ უნდა მისცეს.

სავაჭრო სკოლა უფლებით და საბუჰღალტერო კურსები
საზაფხულო მეცადინეობით
ივანე ზაქარიას ძის ტერ-სტეფანოვისა.
მისაღები გამოცდები 30, 31 მაისს.
პირველი თუმანოვის ქუჩა, საკუთ. სახ. № 13 (დილის 9 საათიდან, საღამოს 5 საათამდე).
მიხეილის პროსპ. № 53 (საღამოს 6 ს.—8 საათამდე). 280

ქ. უ. წ.-კ. გამავრ. საზ. წიგნის მაღაზიაში
ისყიდება შემდეგი წიგნები:

ილია ჭავჭავაძე:

კაცია ადამიანი?	20 კ.
გლახის ნაამბობი	20—
ოთარაანთ ქვრივი	18—
ნიკოლოზ გოსტაშაბიშვილი	3—
სახრობელაზე	5—
მგზავრის წერილები	7—
გლეხთა განთავისუფლების პირველ დროის სცენები	7—
უცნაური ამბავი	4—
რჩეული ლექსები	7—
განდეგილი	5—
კაკო ყაჩაღი	5—
დედა და შვილი	3—
დიმიტრი თავდადებული	7—
აი ისტორია	35 კ.
ცხოვრება და კანონი	25—
კრიტიკული წერილები	25—
პოლემიკური წერილები	10—

ახლად მიღებული წიგნები:

შიო მღვიმის ცამი სიგელი სარ. კაკაბაძისა	40 კ.
ანდერძი დავით აღმაშენებელისა, შიომღვიმისათვის დაწერილი	30—
სიგელი მსახურთ უხუცესის გრიგოლ სურამელისა, 1250 წ.	15—
შიო მდ. დაწერ.	
მცხეთის საკათალიკოსო მამულების გუჯარი, 1447—1448 წ	
გიორგი IX ს მიერ ბოძებული	10—

ადრესი: Тифлисъ. Книжный магазинъ О-ва распр. грам. ср. груз. нас. 1217.

კახეთის რკინის გზა

ტფილისიდან 40 ვერს ს მოშორებით, სადგურ საგარეჯოს მახლობლად, სრულიად საღსა და არა ციებიან ადგილებში, ისყიდება საგარაკო მიწა ნაკრებად. 255 დესეტინიდან განსაზღვრულია 40 დესეტინა საგარაკოდ. ნაძვნარი, მშვენიერი ტყე, წყაროები, ივნიათი საცქერი იორის ხეობაზე და ცივ გომბორის მთაგრეხილები. ნიადაგი 4½ ფუტ. არის მაღლა ზღვის ზედა პირზე. ფასი თითო კვადრ. საჟ. 20 კაპეიკიდან. ფასის გადახდა შეიძლება ნაწილ-ნაწილად. მიჰმართეთ: გაზ. **„ქავ ამბის“** რედაქციაში ბ. **რადიკევიჩს** დილის 10—ნაშუადღ. 3 საათ. და ბ. **გულისაშვილს** 6—საღ. 8 საათ. წერილობითი ცნობები შემდეგი ადრესით: სადგ. სართიქალა, სოფ. საგარეჯო, **იერემია გულისაშვილს.** 198

სამკურნალო გოგიერდის აბანო „ფანტაზია“,
ვორონცოვის ქ. ტრამვაის ლიანდაგზე **ახლად შეკეთებული** მოწყობილება ყოველ მხრივ და წესიერად.

კომფორტი, ელექტრონული განათება. გვაქვს სხვა და სხვა ფასიანი ნომრები და აგრედვე სახოგადო სათავადაზნაურო განყოფილება—30 კ.—ხოლო მამაკაცებისა—15 კ. ყველა ნომრებსა და განყოფილებაში ორ-ორი მილი 29%/0 და 35%/0, ცხელი და ცივი, გოგირდის სიმრავლე საუკეთესო. საშუალებაა ქარებისა, ბუასილისა, სისხლნაკლებულობისა და სხვა დაძველებულ სნეულებათა. გვაქვს მოწმობა ტფ. სამხ. ლაბორ. ანალიზისა. გვყავს გამოცდილი მექანიკ ქალები და კაცები. მსურველთ შეუძლიანთ აბონიმენტები შეიძინონ, ტელეფონი № 115.

1674 **კნ. სუმბათოვებისა.**

გამოსულია და იყიდება
ნ. ვიუკაშვილის
„ მეგოგრეგა“.
კიესა დრამა 4 მოქმედებ. ფასი 30 კაპ.

მუდამ დღე მოგვდის
ახალ-ახალი
ქეგველოვები.
თევზის მრეწველნი
ძმ. ბ.
ახალ-ახალი
ციმხანი,
მტკვრისა თართი, ზღვისა, ლიქო, და სუდაკი.
ახალი მსხვილ მარცვლოვანი
ხიზილალა ჭიტკა
აგრედვე ყოველ დროს იყიდება **მაღაზიაში მარტის დღეში, იანი, ჭიპა, ზურგიელები,** სხვა ყოველ-ნაირი **თევზეულობა** და **კონსერვები.**
პუშკინის ქუჩა, საკუთ. სახ. № 9.
ტელეფონი № 712.

ტფილისი, მუხრანის ქუჩა, სტამბა „ბრომაჯ“